ხუთშაბათი, 7 თებერვალი 1908 წ.

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით—90 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

# ისარი

წელიწადი მეორე—№ 30

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ».

კნ. სოფიო სვიმონის ასული ავალიშვილისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 8 ამა თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის პირველის დაუვიწყარის ქმრისა და შეორეების ძვირფას მამის პოლკოვნიკის

ნიკ. სვიმონის ძის ავალიშვილის

სულის მოსახსენებლად. (1—92—1)

ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში

ხუთშაბათს, 7 თებერვალს, 1908 წ. ბენეფისი ტასო აბაშიძისა. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ნატვრის თვალი

ოპერეტა 3 მოქ. მუსიკა ოდრანისა, თარგმანი ა. ახნაზაროვისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, თამარიშვილისა, ფალიაშვილისა; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ავალიანი, ზ. ბერიშვილი, გ. გედევანოვი, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ი, ქივიძე, კ. შათირიშვილი და სხვ.

ხორო ფილარმონიულ საზოგადოებისა.

ლოტბარი პოლიკარპე ფალიაშვილი

ადგილების ფასი ჩვეულებრივად. დასაწყისი ზუსტად საღამოს 8 საათზე.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში ყოველ დღე. ნ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ მზადდება ორი ახალი პიესა: „ფარისეველი“ და „აპანოს ბოლჩა“.

მორიგი წევრი გამგეობის გ. მაჩაბელი. რეჟისორი ზ. ბერიძე.

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

პარასკევს, 8 თებერვალს, კოპოლლას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

„რ ი გ ო ლ ე ტ ტ ო“.

ოპერა ვერდისა.

მონაწ. იღებენ: ქ-ნნი გორინა, სპეშნევისა, ტურჩანინოვა; ბ-ნნი გრინევი, გავრილოვი, დე-როზერტი, კოპოლლა და სხვანი.

ლოტბარი—ფალიაშვილი. დასაწყისი 8 საათზე.

ანონსი: შაბათს, მახინის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება «ვერტერი» და «ევგენი ონეგინი». მზადდება «ორფეი ჯოჯოხეთში». (1—1)

ძმ. ნიკიტინების ცირკი.



ხუთშაბათს, 7 თებერვალს, 1908 წელს, დიდი წარმოდგენა სამ მოქმედებად მონაწილეობას იღებენ საუკეთესო არტისტები, კლოუნები, გიმნასტები და სხვანი. ნასწავლ დათვის გამოყვანა. დასასრულ ფეერია ბალეტი. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. კასსა ღიაა 11-დან 2 საათამდე, და 5-დან წარმოდგენის გათავებამდე. დაწვრილებით პროგრამებში.

ანონსი: შაბათს ბენეფისი ცირკის დირექტორისა პ. ნ. ნიკიტინა.

(1—94—1) დირექტორი აკიმ ნიკიტინი.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ქირურგიული და დედათა სნეულების

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

ე ქ ი მ ი ს ი ვ. ბ ო კ ე რ ი ა ს ი

გაიხსნება ამა წლის 20 თებერვლიდან.

ადრესი: ტფილისის ქუჩა, სახლი კირიშჩევისა, „იმპერიალი“-ს სასტუმროს გვერდით. (25—56—7)

კბილის ექიმი

იოსებ ზაქარიას-ძე კანდელაკი

იღებს კბილის სნეულ ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს და ღრძილებს; უღებს უვარგის კბილებს აუტკიებლად, აშორებს პირიდან ცუდ სუნს, უკეთებს პლომბებს ყოველგვარ მასალისაგან და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველგვარ მეტოდზე; კაუჩუკზე, პლატინაზე და ოქროზე, აგრეთვე სხამს კბილებს შტიფტებზე უპლასტინკოთ და კბილებს პროფესორ ლოგანის მეტოდზე, ვორონცოვის ძეგლის ახლოს, რაზიეძე ქუჩა № 11 იღებს 9—2 და 4—7. (25—6.—21)

ქ. ქუთაისში

ექიმი ი. ი. ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—25)

ქ უ თ ა ი ს შ ი

კბილის ექიმი

მ ა რ კ ო ვ ს კ ა ი ა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—3-მდე და საღამოს 5—7-დი. ტფილისი ქ. ჩიკვაიძის სახლი, ბინა კნ. დადიშკელიანისა. (25—კვ.—6)

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

მედიცინის დოქტორი

მ. ი. მ უ რ ა დ ო ვ ი,

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკისა, იღებს შარდით, ვენერიულ (სიფილ.) და კანის ავადმყოფებს დილით 9—11 საათ. საღამოთი 5—7 საათზე. რტიშჩევის ქ. № 1, ცეცხლის მქრობელ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი № 711. (21—ხ.—6)

კბილის ექიმი

ე. ი.

ბალარჯაშვილი მათეშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საღ. 5—7 ს, ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—53—12)

კბილის ექიმი

ნ ი ნ ო რ ც ხ ი ლ ა ძ ე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს, საღამოთი, 5—7 საათზე, ვერა ოლგას ქუჩა, № 2 (0—289)

თვალის ექიმი

ზ. მ. ც ხ ვ ე დ ა ძ ე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—25—1)

ე ქ ი მ ი

ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ელექტრონის და რენტგენის

სამკურნალო კაბინეთი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—487—45)

ე ქ ი მ ი

გ. ნ. მ ა გ ა კ ი ა ნ ი

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ბავშვების. სპეციალური ექიმია კუჭის და ნაწლავების, მიღება: დილით 12—1 საათ., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. ქავქანიძისა. (25—წლ.)

კბილის ექიმი

ალ. ს ო ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (64)

ექიმი ვ. ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე

დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს საღამოობით 6—7 საათ. (კვირას გარდა). სლეპცოვსკაია № 5 (ანსტას. ქუჩ. კუთხე). (წ.)

ქუთაისში

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი ქ ა ლ ი

ე. დ. ნ ა ს ა რ ი ძ ე

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

ე ქ ი მ ი

ი. ვ ა შ ა კ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ. უ—00)

სამკურნალო

ე ქ ი მ თ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა

მუდმივ საწოლებით. ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე.

ადრესი: ელისაბედის ქ., № 79, ტელეფ. 1026.

მიხ. ალაჯალოვი: 11—12 ს. შარდ., კან., და სიფილ.

ნ. ნ. ეგიაზაროვი: 11—12 ს ნერვ. ავად., ელექტ. წამლობა.

გ. ა. ტატევოსოვი: 11—1 ს, შინაგანი.

მ. პ. გიმონჯი: 1—2 ს. ქირურგიული

მ. რ. ელჩიევი: 1—2 ს. ყელისა, ყურ. და ცხვირისა.

პ. ა. შეიერი: 2—3 ს. ბავშვისა და შინაგ., ყოველ დღე, სამშაბათსა და პარასკ. გარდა.

ი. ნ. თუმანოვი: საღამ. 5—6 ს. ქალისა და ბებიაობა.

მკურნალობა ჰიპნოზით; მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა, რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. არის საზოგადო პალატები და ცალკე ოთახები. (100—551—13)

გამოვიდა ახალი წიგნაკი

„ქართული თეატრი“

(მისი დღევანდელი მდგომარეობა)

ფასი მაური.

იყიდება «წერა-კ. გამავრც. საზოგადოებისა» და «ახალი სიტყვის» («Новая Рѣчь»)-ის მაღაზიებში, ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან. (3—2)

თავს ვანებებ

ავადმყოფობისა გამო ვაჭრობას და ამიტომ ვაქირავებ საუკეთესოდ გამართულ და მოწყობილ

მ ა ღ ა ზ ი ა ს

მე-10 საპოლიციო ნაწილში, დიდუბის ქუჩაზე, საკუთარ სახლში. მაღაზია ხუთ თვალიანია, აქვს განყოფილება ხორცის ვაჭრობისათვის და ქვემოდ ს ა რ დ ა ფ ი ღვინის ვაჭრობისათვის.

ნიკო ზაქარიას ძე მათიაშვილი.

პირობების გაგება შეიძლება იქავ სახლის ეზოში პატრონთან. (3—93—1)

ტფილისის გუბერნატორის წინადადებით, ტფილისის მოქალაქეთა გამგეობა აცხადებს, რომ მოქალაქეთა 100 რწმუნებულის

ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი

1908—1910 წლებისათვის მოხდენილ იქნება მოქალაქეთა სტაროსტის მიერ მოქალაქეთა გამგეობაში დილის 10 საათზე შემდეგ დღეებში: 17 თებერვალს I, II, III და IV საპოლ. უბნებში 21 რწმუნებ. 22 თებერვალს V, VI და VII საპ. უბნებში 44 რწმუნებული. 2 მარტს VIII IX და X საპ. უბნებში 35 რწმუნებული.

გამგეობა იწვევს მოქალაქეთ, რომელთაც კანონით საარჩევნო უფლება აქვთ, მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში თავთავიანთ უბნების მიხედვით და წინდაწინვე შეიძინონ დაწესებული ბილეთები საარჩევნო კრებებში შესასვლელად, ურომლიებოთ არჩევნებზე დასწრება არ შეიძლება. ბილეთების მიღება ყოველ დღე შეიძლება გამგეობაში დილის 9 საათიდან 2-მდე. და საღამოს 7-დან 8-მდე. (1—6.—1)

„ტფ. სობრანიე“

ხუთშაბათს, 7 თებერვალს, საოჯახო საღამო, რუსულ-მალოროსიულ საოპერო არტისტების მიერ, „სობრანიე“-ს წევრთა და მათ ოჯახთათვის წარმოდგენილი იქნება

„ზა ნემან იდუ“

ცნობილი მალოროსიული ოპერეტა 3 მოქ. დასაწყისი 8 საათზე. (1—96—1)

## რედაქციისაგან

ბათუმის მკითხველთა

საყურადღებოთ.

ვისაც სურს ბათუმში გაზეთი „ისარი“ ყოველდღე მიუვიდეს ბინაზე, ვთხოვთ მიჰმართონ ფირცხალაიშვილის კიოსკს „ნომერი“ [illegible]. (რ. 3—3)

ტფილისი, 7 თებერვალი

ისევ კულტურულ მუშაობაის განცხოველებაზე... თქვენ გგონიათ, ჩვენი კალამი მოიღლება და ქართულ გულ-გრილობისაგან ძალა გამოცლილი ძველებურად მოგიყვებათ ისეთ ზღაპრების მოთხრობას, რომელთა დამაძინებელი მუსიკაც საზოგადოების მთვლემარე ძალებს უმოქმედობის სინახეს გაუტკბილებს? სცდებით. კმარა ისიც, რომ აქამომდე განიცდით უზრუნველად და უდარდელად უმოქმედობის სიტკბილობას. კმარა ისიც, რომ აქამომდე დასცურავდით კმაყოფილნი და გულხალვათნი საზოგადოებრივი სიზანტის ზღვაზე.

ჩვენ არ გვაშინებს არც ის, რომ გულგრილობით დაავადებულნი დღეს მოსმენილს ჩვენს მოწოდებას სახვალიოდ არ იმახსოვრებთ, არც ის, რომ ჩვენი მოწოდების აღმაფრენას თქვენი პრაქტიკული სკეპტიციზმით და პესსიმიზმით ეშუქრით. არ გვაშინებს, იმიტომ რომ ზღვა კოვზით დაილევა, და ქართული საზოგადოებრივ უმოქმედობის აშმორებულ ტბასაც თავისი საზღვარი აქვს. წინად ეს საზღვარი არა სჩანდა, ქართული გულგრილობა უსაზღვრო მანქანებას ჰგვანდა. განმათავისუფლებელმა მოძრაობამ იგი საზღვარი გამოაჩინა და მით ზნეობრივად გასტეხა ძველებური უმოქმედობა.

რა ვუყოთ რომ „თვითმოქმედება“ და „ერთობა“, ეს ორი ფასდაუდებელი მუხლი განმათავისუფლებელ მოძრაობის ანდერძისა, ჩვენს ქვეყანას ჯერ ისევ მარტოოდენ საზოგადოებრივ ძალთა ბრძოლის, შემმუსვრელ, გამანადგურებელ ბრძოლის პრინციპებად მიაჩნია? რა ვუყოთ, რომ ჯერ ჩვენს ქვეყანას „თვითმოქმედების“ და „ერთობის“ შემოქმედებითი ღირებულება ვერ დაუნახავს? რა ვუყოთ, რომ ჯერ ამ პრინციპების საფუძველზე შემოქმედებითი კულტურული მუშაობა არ აღმოცენებულა? ჩვენ გვწამს, რომ იგი მუშაობა განმათავისუფლებელ მოძრაობისაგან ღრმად არის ჩათესლილი ნაყოფიერ საზოგადოებრივ ნიადაგში და დღეს-ხვალ აუცილებლივ საზოგადოებრიობის ზედაპირზედაც გამოსჩნდება ნორჩი ყვავილის სახით. გვწამს და ველით კულტურულ მუშაობის განცხოველებას. ველით, მაგრამ არა ყრუ და ბრმა მოლოდინით, არა ისტორიის ძალთა თვითმყოფელ შემოქმედებაზე მინაბრებულის მოლოდინით, არამედ საზოგადოებრივი კრიტიკის აჩირაღდნებულ მოლოდინით... ამიტომ ვამხელთ დაუზარელად და შეუსვენებლივ ჩვენი ქვეყნის ცხოვრების მისუსტებულ მხარეებს, ამიტომ ვებრძვით შეგნებულად და განზრახულად ქართულს ტრადიციულს ინდიფერენტიზმს. ვინ უნდა გასტეხოს პირველად ძვალი, ვინ უნდა ამართოს პირველად პრაქტიკული კულტურული მუშაობის დროშა?—ჩვენთვის ეს კითხვა დიდი ხანია გადაწყვეტილია. დინჯად და თამამად გიპასუხებთ: ინტელიგენციამ. დიახ, ინტელიგენციამ, არა იმ ძველი მოდგმის ინტელიგენციამ, რომლის მთელი პრაქტიკული ფილოსოფიაც მსახურების პრინციპით შემოიფარგლებოდა, არამედ იმ ახალმა ინტელიგენტურმა ძალებმა, რომელთაც ჩვენთან ერთად სწამთ ქართველი ერის თვითმყოფელი შემოქმედებითი ნიჭი, სწამთ ერის მომავალი, სწამთ იმისი განვითარება.

კულტურა არც მექანიკურად წერა-კითხვის შესწავლაა, არც მექანიკურად სამეურნეო იარაღების დატრიალება, არც სტიქიურად გაფაცვების მოწყობა. კულტურა ყოვლის უწინარეს შემოქმედებაა ე. ი. იმპირიულ ანუ შეუგნებელ გამოცდილებით შეძენილ ცოდნათა და ჩვეულებათა განაყოფიერებაა თვით შეგნების ზეგავლენით. თვით შეგნება კი იგივე ინტელიგენტობაა. ძველის საბერძნეთის, შემოქმედებითი ნიჭის ამ კლასსიკურ ქვეყნის ერთს უმშვენიერეს ტაძარს შესავლის კარებზე წარწერილი ჰქონდა: შეიგნე თავი შენი (gnothi seavton). ძველი დროის ბრძენებიც ყოვლის უწინარეს თვით შეგნებაზე ზრუნავდნენ და მით თავის მატერიალურ და სულიერ ძალთა შემოქმედებას ანვითარებდნენ. ძველი საბერძნეთის დევიზი კულტურისაგან განუყოფელია, შემოქმედების ძალთა განვითარების განუყოფელი წინამძღოლია. თვითშეგნება ე. ი. ინტელიგენტობა აუცილებელი პირობაა კულტურული წარმატებისა. ამიტომაც ამ წარმატების მესვეურობა ინტელიგენციის წილხვდომილი მოვალეობაა.

ვიცით, კარგად ვიცით, რა ხორცმეტად მიაჩნია ერთს რუსეთიდან ჩვენს ქვეყანაში გადმოსახლებულ საზოგადოებრივ მიმართულებას ინტელიგენცია. ვიცით, რაოდენ დაბრკოლებას აღუმართავს ის მიმართულება ინტელიგენციის კულტურულ მუშაობის მესვეურობას, ინტელიგენციის მიერ თავის შემოქმედებით ძალთა განვითარებას. ვიცით, მაგრამ არც ეს გარემოება გვაშინებს. კულტურის ისტორია ხომ თავთაქვე დაქანებული მინდორი არ არის,—ყველაფერი ერთად უწყობდეს ხელს წარმატებას და განვითარებას? კულტურისთვისაც ბრძოლაა საჭირო, ბრძოლა, რომელსაც დევგმირობის გარეგნობა არა აქვს, მაგრამ არსებითად კი შეგნებულს თავგანწირულებას მოითხოვს. ერთი მეცნიერის აზრით, რაც უბრძოლველად მოიპოვება, ის ღვთის წყალობა კი არა, ღვთის რისხვაა. კულტურული წარმატებისთვის ბრძოლა თვით კულტურის ერთ-ერთი ფორმაა.

საქართველოში კულტურულ მუშაობის განცხოველებას მრავალი მტერი ჰყავს, ხილული და უხილავი, შეგნებული და შეუგნებელი, გულჩახვეული და პირდაპირი. ეს მტრები ჩვენი ცხოვრების კალოზე დღეს ან გუშინ არ მიმოიფინნენ. მათ დიდი ხანია, თითქმის მთელი საუკუნეა დაიწყეს თავისი ჯოჯოხეთური საქმე და დღესაც ენერგიულად განაგრძობენ ჩვენი ერის კულტურული ცხოვრების ჩანელებას. ჩვენი ეროვნული კულტურის ამ ისტორიულმა მტრებმა უკვე ჩვენს წრეებშიაც შეიძინეს მეგობრები, შეიძინეს მით, რომ მათს თვით შეგნებაში ქართული ეროვნული კულტურა ან სამასხარო საგნად გადააქციეს, ან აღმოსავლეთურ ცეკვასა და სიმღერაზე დაახურდავეს... ნუ გგონიათ უანგარიშო სიბრაზით, ან უძლურების გულმოსილებით ვიხარჯებოდეთ ასე მკაცრად. სრულიადაც არა! ჩაუფიქრდით ქართულ საკულტურტრეგერო ენერგიის დაძაბუნებას და სიმსუბუქეს, მოიგონეთ, რომ ამ სიმჩატის ძირითადი მიზეზი ეროვნულ კულტურის იდეალების ფრთაშეკვეცილობა და უმიწაძილობაა, ჩაუფიქრდით ამ გარემოებას და თქვენ თითონ დამეთანხმებით, რომ აქ ჩვენი სიბრაზე და გულმოსულობა არაფერ შუაშია. ჩვენ ვიცით, რომ ოციოდე წლის წინად, საქართველოს საუკეთესო საზოგადო მოღვაწეების აზრით, ისტორიული განვითარება ჩვენს ქვეყანას პროგრესსიულად მიაქანებდა ეროვნულ კულტურის ადგილას რუსულ კულტურის გამეფებისაკენ, რომ თვით კულტურულ განვითარებას მიჰქონდა ქართ-

ველი ხალხის ეროვნული გადაგვარება, რომ კულტურა საქართველოსთვის სამარე იყო... დიახ, ასე ფიქრობდნენ ოციოდე წლის წინად საქართველოს საუკეთესო საზოგადო მოღვაწეები და სრულიად ბუნებრივად მიაჩნდათ ჩვენი ქვეყნის და ერის მომავალი სიკვდილი კულტურის ზედგავლენით. ასე ფიქრობდნენ საუკეთესო მოღვაწეები და ამ მოღვაწეთა ზნეობრივ გავლენის ქვეშ არის აღზრდილი ჩვენი ეხლანდელი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი. ამ გამათახსირებელ გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და იმყოფებიან ისინიც კი, ვისაც უზომოდ დიდი ენერგია შეუწირავს ოთხმოცდა ათიან წლებში „მაჰმადიან“ ბრძოლისთვის.

გვესმის, კარგად გვესმის, რა სისტემატიურის თანდათანობით მწიფდებოდა განვლილ საუკუნის განმავლობაში საქართველოს ინტელიგენციის შემოქმე- [illegible] გვესმის და ამიტომ არც გვაშინებს, რომ იგი დღეს პრესსის პირველ მოწოდებისათანავე არ გამოვითარებს კულტურულ მუშაობის ასპარეზზე მთელს თავის ენერგიას. მოვა დრო და ეს ენერგია განთავისუფლდება მის შემხუთავ და შემბორკავ ისტორიულ გავლენისაგან. ჩვენ ველით ამ დროს, მაგრამ არა უხმო, არამედ საზოგადოებრივი კრიტიკის ცეცხლით გახსივოსნებულის მოლოდინით.

## ომის მოლოდინში

მახლობელ აღმოსავლეთის საკითხი, რომელიც დღემდის სრულიად დაჩრდილული იყო, ისევ აღიმართა მთელი თავის სისასტიკით ევროპის დიპლომატიის წინ. რუსეთის დასუსტებამ დაარღვია ძალთა განწყობილება ევროპაში, ამ გარემოებამ კი ისე ძალიან გაართულა მდგომარეობა, რომ ევროპა აუცილებლად ომის მოლოდინში უნდა იყოს. სად დაიჭექებს მეხი, ვისკენ იქნება მიმართული ისარი,—ამის გამოცნობა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, რადგანაც დიპლომატია საიდუმლოთ იქცევა, თავის ნამდვილ გულის ნადებს არავის ეუბნება. ყოველ შემთხვევაში ეხლავე შეიძლება გამოირკვეს, თუ მახლობელ აღმოსავლეთის საქმეებში რომელი სახელმწიფოები უფრო ძალიან არიან დაინტერესებულნი.

პირველად ახმაურდა ოსმალეთი, რომელიც დღემდის მომაკვდავ სახელმწიფოთ მიაჩნდა ყველას. ისტორიული მოქიშპე ოსმალეთისა, რუსეთი, ისე დასუსტდა, რომ შესაძლებლად დაინახა ხმა მაღლა ლაპარაკი. ოსმალეთი ბოლგარიისა და კავკასიის საზღვრებზე ჯარებს აგროვებს. მან ძალა იგრძნო და აღარც ერთ დაპირებულ რეფორმის განხორციელება არა სურს მაკედონიაში. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ოსმალეთი ენერგიულად ემზადება ომისთვის. მაგრამ ოსმალეთი არც ისეთი ძლიერი სახელმწიფოა, რომ მარტო საკუთარის ძალებით დიდი ომის დაწყება მოახერხოს. ოსმალეთშიაც შინაური მოძრაობაა, მისი ფინანსებიც აწეწილ-დაწეწილია. ცხადია, რომ ოსმალეთს უფრო ძლიერი სახელმწიფო უმაგრებს ზურგს. ასეთს სახელმწიფოებად ავსტრო-ჰუნგრეთი და გერმანია უნდა ჩაითვალოს. ოსმალეთი, გაზეთების სიტყვით, უბრალო იარაღია იმ დიდ საერთაშორისო გეგმისა, რომლის დაწვრილებით გამოცნობაც ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. ბარონ ერენტალის პირველმა სიტყვამ დიდი ეჭვები დაჰბადა, მეორე სიტყვამ კი ცხად ჰყო, რომ სპარსეთის ტერიტორიის დაპყრობა, ერენტალის რკინის გზების გეგმა და სხვა ამნაირები სხვა და სხვა რგოლებია ერთისა და იმავე მოვლენისა. ავსტ- [illegible] როლს თამაშობდა, ეს ცხადია. „ავსტრია ერთის ხელით მემორანდუმს აწვდიდა ოსმალეთს მაკედონიაში რეფორმების შემოღების შესახებ,—სწერენ გაზეთები,—მეორე ხელით კი რკინის გზის კონცესსიას იღებდა საჩუქრად. ავსტრიის დიპლომატია საჯაროთ რეფორმების განხორციელებას თხოულობდა ოსმალეთისაგან, ყურში კი ჩასჩურჩულებდა, შეგიძლიან არ აჩქარდე და ჯერ-ჯერობით რეფორმები არ განახორციელოვო. მხოლოდ ერენტალის სიტყვის შემდეგ გამოაშკარავდა, რათ იქცეოდა ოსმალეთი ისე დინჯათ და რატომ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ევროპის სახელმწიფოთა შეერთებულ ძალას. ერთის სიტყვით, მეტერნიხიდან დაწყებული, ავსტრიის დიპლომატიას ისე არასოდეს არ გაუმარჯვია, როგორც ამ ჟამად ბარონმა ერენტალმა გაიმარჯვა.“ გერმანია გაჩუმებულია, ბევრს ეს სიჩუმე საუკეთესო თავმდებად მიაჩნია იმისა, რომ იგი ოსმალეთს მხარს უჭერს. რაში გამოიხატება ეს მხარის დაჭერა, ეს ჯერ არავინ იცის, მაგრამ დახმარება რომ იქნება, ეს ცხადზედ უცხადესია. ბარონმა ერენტალმა განაცხადა, რკინის გზის პროექტს არავითარი პოლიტიკური სარჩული არ უდევსო, მაგრამ ასეთი განცხადება არავის არა სჯერა. რკინის გზის გაყვანის წინააღმდეგი მარტო რუსეთი არ არის; მის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს საფრანგეთი, ინგლისის პრესსა კი სოლიდარობას უცხადებს რუსეთს. ამ რიგად ძალთა განწყობილება ევროპაში ამნაირია: ერთის მხრით სდგანან ოსმალეთი, ავსტრო-ჰუნგრეთი და გერმანია, მეორის მხრით კი რუსეთი, საფრანგეთი და ინგლისი. საფრანგეთში ბევრი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ რუსეთიც კონცესსიას მოითხოვს. რუსეთს შეუძლიან რკინის გზა გაიყვანოს მოსკოვიდან ადრიატიულ ზღვამდე. ოსმალეთი იძულებული გახდება რუსეთსაც მისცეს კონცესსია; და თუ მან უარი უთხრა რუსეთს, მაშინ ავსტრო ჰუნგრეთსაც უნდა უარი უთხრასო ერთს მცოდნე პირს „რუსკ. სლ.“ კორესპონდენტისთვის უთქვამს, ამ რკინის გზის გაყვანით საფრანგეთიც ძალიან დაზარალდებაო. სალონიკი სტამბოლთან საფრანგეთის რკინის გზით არის შეერთებული. ეს გზა ძალიან დაზარალდება, თუ სოლონიკი ვენასთან რკინის გზით შეაერთეს. ამიტომ საფრანგეთს ვერ შეუძლიან ავსტრო-ჰუნგრეთის გავლენის გაძლიერებას მახლობელ აღმოსავლეთში გულ-გრილად უცქეროსო.

## ახალი ამბავი

✦ **ეპ. კირიონი.** პეტერბურგიდან დეპეშით გვატყობინებენ, რომ ეპისკოპოზს კირიონს თხოვნა შეუტანია სინოდში სამსახურიდან დათხოვნის შესახებ. ეპისკოპოზი თხოულობს ათონში ცხოვრების ნება მისცენ.

✦ **გრადონაჩალნიკის დათხოვნა** პეტერბურგიდან ცნობა მოვიდა, რომ უმაღლესის ბრძანებით სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა ბაქოს გრადონაჩალნიკი გენ. კონევსკი.

✦ **სახელოსნო ინსპექცია.** ტფ. ქალაქის თვითმართველობამ განიზრახა დაარსოს ტფილისში სახელოსნო ინსპექცია, რომლის მოვალეობა იქნება, თვალყური ადევნოს სახელოსნოებისათვის გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა ასრულებას. გამგეობა ამ ჟამად იხილავს ინსპექციის წესდებას.

✦ **საქონლის ჭირი.** საგუბერნიო საბეითალო მმართველობამ აცნობა ტფ. ქალაქის გამგეობას, რომ ტფილისში, მე-8 საპოლიციო უბანში, საქონლის ჭირი გაჩენილა.

✦ **ყუმბარების ლაბორატორია.** როგორც აღნიშნული გვქონდა უკვე, ავლაბარში ვანო ონიკაშვილის სახლში პოლიციელებმა აღმოაჩინეს ყუმბარების საკეთებელი ლაბორატორია. პოლიციამ დააპატიმრა ორი კაცი ტურიკიანცი და ამირანოვი, რომელთაც აღმოაჩნდათ რევოლვერი და კედელში ჩამალული 12 ყუმბარა. დამატებით შევიტყვეთ, რომ პოლიციას აღმოუჩენია დაპატიმრებულთათ ვისკიდევ 50,000 მანეთიანი ჩეკი, ფულების ფოსტით გადასაგზავნი ბილეთი 517 მანეთისა და აგრეთვე საბუთები, რომლებიც ამას წინად აფრიკიანცის მეურტელეს აზარიანცს წაართვეს თავდაცემისა და გაცარცვის დროს. სამხედრო შტაბმა გუშინ დაიწვა 13 გირვანქა და 72 მისხალი აღმოჩენილი ასაფეთქებელი წამლისა.

✦ **დაკარგულნი.** ტფილისის პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა სასტიკი ღონისძიებანი იქმნას მიღებული სადღაც გადაკარგულთა—ვაქრის ვასილ ნათელაძის, 13 წლის ვასილ გულივერდოვის და იოსებ რადევანის აღმოსაჩენადაო.

✦ **საგუბერნიო საპატიმროში.** როგორც გადმოგვცეს, ტფილისის საგუბერნიო საპატიმროს პოლიტიკურ ტუსაღებს მოუთხოვიათ საჭმლის გაუმჯობესება და რადგანაც დაკმაყოფილება ვერ მიუღიათ 5 თებერვლიდან შიმშილი გამოუცხადებიათ.

✦ **მოქალაქეთა რწმუნებულები.** ტფ. გუბერნატორის განკარგულებით, ტფილისის მოქალაქეთა გამგეობა 17 თებერვლიდან შეუდგება მოქალაქეთა რწმუნებულების არჩევნებს.

✦ **დაპატიმრება.** ბოლოს დროს ტფილისში გახშირდა დაპატიმრება. სხვათა შორის პოლიციის მოხელეებმა 4 თებერვალს გაჩხრიკეს პოლიციის მე-9 ნაწილში ერთი სახლი და დააპატიმრეს 10 კაცი. დაპატიმრებულთაგან უმრავლესობა ტრამვაის მოხელენი არიან.

✦ **ჟურნალისტების კავშირი.** კვირას, 10 თებერვალს, დანიშნულია კრება ტფილისის ჟურნალისტებისა. ჟურნალისტებს განზრახვა აქვთ პროფესიონალური კავშირი შეადგინონ.

✦ **შატილოვის დაბრუნება.** კავკასიის სამხედრო შტაბის უფროსი გენერალი შატილოვი, რომელიც სამ ახურის საქმეებისა გამო პეტერბურგში გაიწვიეს, უკვე წამოვიდა პეტერბურგიდან და დღეს ტფილისში უნდა ჩამოვიდეს.

✦ **ხალხის გაჭირვება.** როგორც გვატყობინებენ, დუშეთისა და თიონეთის მაზრებში ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის. დამშეული გლეხობა ჰყიდის ყოველიფერს, რაც გააჩნია, რათა ფული იშოვნოს პურის შესაძენად. შინაური პირუტყვის გამოკვებაც დიდათ გასჭირვებია ხალხს.

✦ მოგვივიდა საუმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილი“-ს 1-ლი № შემდეგი შინაარსისა: სურათი. რას შეჰყურებ ჩემ დეკვებს? მურა და ეფრე ლექსი თ. რაზიკაშვილისა, თაგვის გამჭრიახობა. ფრანგ. ეკ. მ—ისა, მოწითანო ძაღლი, თარგ. ანიკასი, ჩემ შიტუვას ვერ გაგტეხ. ფრანგულით ტასოსი, დადუშული ქადაქები. აღ. ფაღავასი, პეტარა დირსა. ამბავი ფ—სი, ამბები ზოოლოგიურ ბაღში მცხოვრებლებისა. გ. მიქაბერიძისა, წვრილმანი: ანდაზები, გამოცანები, ანაგრამა და გასართობი. ეღის ქადი, ლეგენდა ეკ. გაბაშვილისა, მონადირეს ნაამბობი (რუსულით) ან. წერეთლისა, საფრანგეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილება. ივ. გომართელისა, ხალხის სიბრძნე (ადამიანის წლოვანება) გაგონილი ილ. ალხაზიშვილის მიერ, შეუდლე ბავში, მოთხ. მონგომერისა, გაგრძელება თარგ. ელ. წერეთლისა, მსოფლიო ისტორია ერ. ლავისისა ფრანგულიდან ალ. სარაჯიშვილისა, ბუნების ლექსიკონი, ნაწილი პირველი, შედგენილი ილ. ალხაზიშვილის მიერ.

✦ „ზაკავკ.“-ს გადმოცემით, რომ ქუთაისის საპატიმროში შეაგდებისაგან გარდაცვლილა იმერეთის მაზრის გლეხი ერმ. ლოლაძე, რომელიც ილ. ჭავჭავაძის მოკვლის გამო იყო დაპატიმრებული.

✦ აქამდე ტრამვაის კონდუქტორები, ფაეტონების დამტარებელნი და სხვა მსახურნი სარგებლობდნენ თავიანთ ახლო ნათესავებისათვის მუქთი ბილეთებით. ახალმა დირექტორმა მოხელეებს ეს უფლება ჩამოართვა და განუცხადა, ამიერიდან მუქთი ბილეთების დარიგების წინააღმდეგ ქალაქის გამგეობა არისო. მოხელეების წარმომადგენლებმა თხოვნით მიმართეს ქალაქის თავს, რომ ნუ წაერთმევა მათ ეს უფლება, რადგან ძალიან მცირე ჯამაგირს ვღებულობთო.

✦ ღუმის სასჯის შემდეგი სხდომა დანიშნა 18 თებერვლისათვის.

✦ მოსკოვის ქუჩაზე მცხოვრებმა ანნა ობოლენსკისამ პოლიციას განუცხადა, რომ აღნიშნულ ქუჩაზე, 4 თებერვალს, დამის 12 საათზედ, როდესაც შინ ბრუნდებოდა კერძოულიმეს მეეზოვემ ტერ-ტეროვმა შეითრია ოთახში, გააუპატიურა და ამასთანავე წაართვა 3 ბეჭედი და ფულად 30 მან. მეეზოვე ტერ-ტეროვი დააპატიმრეს.

✦ 5 თებერვალს, ღამის 10 საათზედ, ხოჯივანქის ქუჩაზე მცხოვრებ ეკატერინე პონომარევთან შესულა იოსებ ფიცხელაური ამხანაგითურთ და ორივეს ქალისათვის რევოლვერები უსვრიათ, მაგრამ აუცილებიათ. ფიცხელაური დააპატიმრეს; მან განაცხადა, რევოლვერი შესაშინებლად გავისროლეთ.

## პრესა

გაზეთები ბევრსა სწერენ იმაზე, თუ რანაირ მიმდინარეობას მიიღებს საქმეები მახლობელ აღმოსავლეთში, სადაც გარემოება უკვე საკმაოთ გართულდა. „რეჩი“-ს თანამშრომელს ულაპარაკია უცხოელთა დიპლომატიურ კორპუსის ერთს წარმომადგენელთან, რომელსაც, სხვათა შორის, ასეთი აზრები გამოუთქვამს:

ოსმალეთი სისტემატიურად არ ანხორციელებდა სხვა და სხვა საბაბით დაპირებულ რეფორმებს მაკედონიაში. უკანასკნელ ხანებში მან, ეჭვს გარეშეა, უფრო გულ-ახდილი პოზიცია დაიჭირა... მალე სალონიკის ფინანსიურ კომისიის რწმუნებულების ვადა გადის; როგორც ეტყობა ოსმალეთს აზრათა აქვს ახალი პირობები წამოაყენოს. ოსმალეთმა კატეგორიულად უარჰყო მოთხოვნა სახელმწიფოებისა მაკედონიაში სასამართლოს რეფორმის შესახებ. გერმანიის გავლენით ოსმალეთი დიდს წინააღმდეგობის გაწევას აპირებს. ავსტრო-ჰუნგრეთი მზათ არის ყველა რეფორმები ერთს კარგს რკინის გზის კონცესიაზე გამოსცვალოს. ყველა ამის დასკვნად კი ის უნდა ჩაითვალოს, რომ სახელმწიფოების შეერთებულ ძალას უპირდაპირდება შეერთებულივე ძალა ოსმალეთისა, ავსტრო-უნგრეთისა და გერმანიისა.

მიუხედავად ყველა ამისა, დიპლომატს მაინც განუცხადებია, ძალიან საეჭვოა, რომ რომელიმე სახელმწიფომ გაბედოს და კონფლიქტი გამოიწვიოსო.

---

# ფელეტონი

## ინდოეთის სიბრძნე

### (ფილოსოფიური ეტიუდი)

### თავი VIII*)

არის კიდევ ერთი საყურადღებო მხარე ბუდისტურ ეთიკისა. იგი „არა-საქმიანობას“, უმოქმედობას ჰქადაგებს. გაკვრით უკვე გვქონდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ბუდა ჰკიცხავდა „საქმის კაცებს“, რომელნიც „მუშაობის“ მსხვერპლად გამხდარან და ადამიანის გონიერების მოთხოვნას ზურგს უქცევენ. ბუდიზმის უძველესს წყაროებში ვპოვებთ იგავებს, რომელნიც შუქს ჰფენენ ამ საგანს. აი, მაგალითად, იგავი მთესავის შესახებ.

მდიდარი ბრაჰმანი ბარადვაჯა, მკაში იყო გართული. მასთან ბუდა მივიდა, ხალხი მოწიწებით მიეგება ბუდას და „მოწყალეობას“ აძლევდნენ. გაჯავრდა ბრაჰმანი და სთქვა:—ბერო, მე ვხნავ და ვსთესავ და ჩემს ნაშრომით ვიკვებები. შენც რომ მაგრე მოქცეულიყავი, შენც გექნებოდა საჭმელი.—ბრაჰმანო, მიუგო, გოტამა, მეც ვხნავ და ვსთესავ და მეც ჩემის ოფლით ვიკვებები!—მაშ თუ მიწის მუშაკი ხარ, სად არის შენი გუთანი, სად არის შენი სათესლე?—მასწავლებელმა უპასუხა: ჩემი სათესლე—სარწმუნოებაა, წვიმა, რომელიც მიწას მინამავს, კეთილი საქციელნნი არიან; გუთნის ნაწილები სიბრძნე და ზომიერებაა, ჩემი გონება კი—ლაგამია. სახელური კანონია ჩემი გულმოდგინებაა ჩემი ხარ-კამეჩი; ხოლო ჩემი მეცადინეობა სახრეა, რომლითაც ვუჯავრდები საქონელს. ჩემი ყანა ჭეშმარიტი ყანაა, იგი გაწმენდილია ღვარძლიან მატყუვრობისაგან. ჯეჯილი, რომელიც მასზე ამოდის, ამბროსიაა, ნირვანას ნაყოფი და ჩემს ყანაში მწუხარებას ადგილი აღარ აქვს.[1]) სუტა-ნიპატაში ამ ხასიათისავე იგავი ასე არის გამოსახული: „სარწმუნოება არის თესლი, სინანული წვიმაა, გონიერება ჩემი გუთანია, გონება საბელია გუთნის საკვეთი—ღრმა ფიქრია... თავგანწირულება ჩემი საქონელია, იგი ნირვანასაკენ იწევა, მიდის და უკან არ იხევა და განშორებული ადგილს აღარ ნატრულობს. როცა მოხნულია ჩემი მინდორი, მას უკვდავების ნაყოფი მოაქვს. ამ მინდორს თუ მოხნავ, ტანჯვებისაგან განთავისუფლდებიო.[2])

ამ იგავს მთესველის შესახებ ის აზრი აქვს, რომ შრომა და სამუშაო ცუდ ცხოვრების გასამართლებელი საბუთი არ უნდა იყოს. ადამიანი გონივრულად ვერ სცხოვრობს, რადგან მაცდურობის და მოტყუების მახეშია. „მატყუვრობას“ სხვა და სხვა პირ-ბადე ახურავს. „შრომა“ ხშირად ნამდვილი ჰიპნოზია, იგი ფიზიკურ და ზნეობრივ ძალას ართმევს ადამიანს და ადამიანში კრიტიკის გრძნობა იხშობა და ცხოვრების დაფასების უნარი ეკარგება. ბუდა სწორეთ ამ ხასიათის მუშაობის წინააღმდეგ ლაპარაკობს და მას „არ-საქმიანობას“ ამჯობინებს.

ყოველივე ეს უნებლიედ ტოლსტოის „არ-საქმიანობას“ გვაგონებს, სადაც ავტორი ზოლას წინააღმდეგ ამხედრდა. ზოლა ახალგაზდობას შრომისაკენ იწვევდა. ტოლსტოიმ გააფრთხილა ახალგაზდობა, შრომაც არის და შრომაცაო. ზოგჯერ შრომას „არ-საქმიანობა“ სჯობიაო. ტოლსტოის ეგ აზრი ნასესხები აქვს როგორც ბუდიზმისაგან, ისე სხვა წყაროებიდამაც.

სახარებაშიაც ვპოულობთ ამგვარ აზრს. „და თქვენ ნუ ეძიებთ, რა სჭამოთ და რა სვათ... რამეთუ ამას ყველასა ნათესავნი სოფლისანი ეძიებენ... (სახ. ლუკასი 12. 29 30) უგუნურო! ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან; ეგე, რომელ მოიმზადე, ვისი იყოს. ეგრეცა რომელი იუნჯებდეს თავისა თვისისა და არა ღმრთისა მიერ განმჰსდიდრებოდესო“. (ლუკ. 12. 20-21). სხვა რელიგიის დამაარსებელნიც არ არიან თაყვანისმცემელნი იმგვარ მუშაობისა, რომელსაც ადამიანის გონება არ ხელმძღვანელობს. ლაოძი ამბობს: „მე ვცდილობდი ის შემეგნო, რაც გაჩუმების სარგებლობას მასწავლიდა, აგრეთვე ვცდილობდი ისიც შემეგნო, რასაც „საქმიანობის მოქმედებას უწოდებენ. მაგრამ ბევრი არ არის იმისთანა, ვინც შეიგნებს უსაქმიანობის სარგებლობასო. 3)

ბუდიზმში ერთი ეთიკაა. საეკკლესიო ეთიკა და დოგმატები პირ ხანაში გამოყოფილი არ არის. პირვანდელ ბუდიზმში ეკკლესია არც კი არსებობდა. ბუდამ ბერთა ძმობა დაარსა. ამ ძმობას კარ-ჩაკეტილი კასტური ხასიათი არა ჰქონდა. ვისაც სურდა, თავისუფლად შედიოდა. მასში ხალხიც იმგვარ მოძღვრებას ადიარებდა, რა მოძღვრებაზედაც ძმობა იყო დაფუძნებული. განსხვავება ის იყო, რომ ძმობებში უფრო სტკიცედ და სასტიკად იცავდნენ ბუდას მოძღვრებას. ეგ მოძღვრება „მესაკუთრისაგან“ შემდეგ მოვალეობის აღსრულებას ითხოვდა.

1. „ნუ მოჰკლავ არც ერთ ცხოველ არსებას, მკვლელობას სხვასაც ნუ მოუწონებ. ყოველი სულდგმული დაიფარე, ძლიერი და სუსტიც.

2. „ნუ აიღებს მოწაფე იმას, რასაც არ აძლევენ, რადგან სხვას ეკუთვნის. ნურც სხვას მოუწონებს და წააქეზებს ამ საქმეში. ერიდოს ამ სამ ხასიათის ქურდობას.

3. როგორც გაღვივებულ ნახშირს, ისე ერიდოს გარყვნილ ცხოვრებას. თუ უმანკოებას ვერ შეინახავს, სხვა ქალებთან ნუ შესცოდებს.

4. „სიცრუეს ნურვინ ნუ იტყვის არც სასამართლოში, არც ეკკლესიაში და ნურც სხვასაც მოუწონებ სიცრუეს. ერიდე სიმართლის შებღალვას.

5. „მესაკუთრე, რომელიც წესდების მიხედვით ცხოვრობს, მაგარ სასმელებს ნუ სვამს. სიმთვრალეს ნურც სხვას მოუწონებს, ვინაიდან ლოთობა-სიგიჟეა...[4])

ამრიგად ეს მცნებანი გვასწავლიან: 1. არა ჰკლა, 2. ნუ იქურდებ, 3. ნუ მრუშობ, 4 ნუ იცრუებ, 5. ნუ ითვრები.

ჩვენ ვხედავთ, რომ ბუდა არამც თუ ცხოველ არსების მოკვლას უკრძალავს თავის მოწაფეთ, არამედ უკრძალავს, ნურც აწვალებთ, ნურც რაიმე ვნებას მიაყენებთ მათთა. ჰკიცხავს არა მარტო პირად ქურდობს, არამედ ქურდობაზე წაქეზებასაც. ბრძენი სრულ ფიზიკურ და სულიერ „სიწმინდისაკენ მიისწრაფვის და ჩვეულებურად რომ განვსაჯოთ იგი ცხოვრების გარეშე დგება. ცოლის შერთვა აკრძალული არ არის, ხოლო სხვისი ცოლების შეხება სასტიკად დაგმობილია. ხოლო, ვინც ბუდას ძმობაში შედის და გლახაკ—ბერად ხდება მისთვის ჯვარის წერა აკრძალულია. სიცრუეს ჰკიცხავს ბუდა, როგორც მძიმე და მავნებელ ბიწიერებას. სიცრუე უნდა იყოს განდევნილი, როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. არც თითონ უნდა იცრუოს კაცმა, არც სხვა წააქეზოს. ეგ ორ გვარი ბიწიერებაა, რადგან აქ ორი ადამიანი იღებს მონაწილეობას. სულიერ ზრდის მთავარი პირობა ვნებათა ღელვის და სურვილების დახშობაა. გონიერება, რომელიც მიწიერ ბედნიერების და კმაყოფილების აჩრდილით არ არის დამთვრალი, ჭეშმარიტ სიცოცხლეს ჰხილავს და სწორ გზაზე გამოჰყავს ადამიანი. მაგარი სასმელები, რომელნიც სურვილებს და სიცოცხლის წყურვილს უზვიადებს ადამიანს, ხელს უწყობენ მის დამონავების, რადგან მიწიერ ბედნიერე-

*) იხ. «ისარი» № 29.

[1]) Ipence Hardy's Manuel of Buddhism.

[2]) Cymma—Hunama. გვ. 41.

[3]) The Tāo—Tih—King—Zāo—Tsze, The grent thinker by Alekander.

[4]) Сута-Нитана.

53
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფლად

(ქართლის ვითარება)

ამას წინად გაზეთ „ისარ"-ში წავიკითხე: „ჩვენივე მეზობლის ოსეთის ნაძირალნი ერთგულად შეუდგნენ ქართლში „კრამოლის" ამოფხვრასაო".

ჩვენ და სამარცხვინოდ, ამ ნაძირალებს უკან არ ჩამორჩებიან ჩვენივე, ქართლის ბრწყინვალე წოდების ზოგიერთი პირნი. რაა გასაკვირველი: ჩვენივე შვილები არა ზოგავენ აოხრებულს ქართლსა და ოსეთის ნაძირალებს რაღა მოეთხოვებათ! ბრწყინვალე პირნი სამარცხვინო როლს ასრულებენ; ისინი დაბალ ხარისხის პოლიციის მოხელეობას შეუდგნენ: ზოგმა მთავრობის მამასახლისის ჯაჭვი გადიკიდა გულზედ, ზოგმა სტრაჟნიკის ეპოლეტები მხრებზედ გაიდ-გამოიდო და ზოგმაც შტატ-გარეშე დაბალ ხარისხის პოლიციის მოხელის მუნდირი ჩაიცვა. ესენი არიან მოპირდაპირენი ხალხისა და ესენი არიან აღმასრულებელნი ყოველივე საპოლიციო საქმისა.

—

ამ რამდენისამე დღის წინად ერთ ადგილს კერძო მოლაპარაკება იყო ზოგიერთ მამასახლისებს და მწერლებს შორის, დაადგინეს: მოახდინონ რამდენიმე ადგილას კრება ხალხისა, დაადგინონ განაჩენი, ითხოვონ სადაც ჯერ არს, რომ რადგან მშვიდობიანობა დაუბრუნდეს ხალხს ძველი უფლებები, ნება მიეცეს თავიანთ შორის აირჩიოს მამასახლისები. რა გულკეთილობას იჩენენ ეს ჩვენი სოფლის მოხელენი: როდესაც რეაქცია დაიწყო, იმის გაძლიერებას ხელს უწყობდნენ, ეხლა კი მოსწყინდათ ამ ვაჟ-ბატონებს სასტიკი წესწყობილება, ან იქნებ შეეშინდათ, და ჰსურთ ისევ ძველ წესწყობილებას დაუბრუნდნენ.

კიდეც ჰსჭრიან, კიდეც ჰკერვენ!

—

პირველი კრება მოახდინეს სოფ. ატოცში. მამასახლისს ლ. ციმაკურიძეს ბევრი ბაასის შემდეგ ხალხმა გამოუცხადა: რადგან მთავრობის მამასახლისებისა და მათი სტრაჟნიკების ხარჯის გაღების ძალა არ შეგვწევს, გვსურს დავადგინოთ განაჩენი, რომ დაგვიბრუნდეს ძველი უფლება მამასახლისის არჩევისაო. ციმაკურიძე ეჭვში შესულა—მიტინგი კი არ იყოს ეს კრება და შემინებიაო; ჯერ ხომ ისევ სამხედრო წესებია, ვაი თუ მე გავება მახეშიო, და ხალხს უარი გამოუცხადა: ეხლავე დაიშალენით და თქვენ ბინაზედ წადითო. კრება მაინც არ იშლებოდა, ზოგიერთმა ხმაც აღიმაღლა. მაგრამ მათრახმა თავისი ქნა და კრება მალე დაიშალა.

ასე და ამ რიგად ხეთაგასა და გიჩოსთან ერთად ქართლს დაჰპატრონებიან ეს „კეთილ-შობილნი პირნი" და მათ ბატონობის ქვეშ ქართლი კვნესის! ამ ვაჟბატონებს ისე გაუტკბათ თანამდებობანი, რომ აღარც კი ფიქრობენ თავის დანებებას, ჰგონიათ, სამუდამოდ ამ ხელობას შევაბერდებითო.

—

არც თუ სასულიერო პირნი აკლებენ რასმე ქართლს. სულიერი მამები ვაი მამობას უწევენ ხალხს ამ შიმშილობის დროს: დრამებს ზოგნი პოლიციის შეწეობით ართმევენ გლეხებს და ზოგნიც ეშმაკობით და მოტყუებით იღებენ. ეხლახან სოფ. თილვაში, სადაც უკვე შიმშილს განიცდიან მცხოვრებნი, მღვდ. ათაევი მოურიგდება გლეხებს, კომლზედ ექვს-ექვსი ჩანახი ჰინახული აკრიბა, იმ პირობით კი, რომ დიაკვანსაც გასწორებოდნენ; მაგრამ დიაკვანს არ გაუსწორდა. დიაკვანმა მამასახლისს მიმართა და სთხოვა, გადაახდევინე გლეხებს დარჩენილი ორ-ორი ჩანახი კომლზეო. მღვდ. ათაევი თავს მართლულობს—ასე რომ არ მოვქცეულიყავ, დრამას ვერ ავიღებდიო.

მემამულენიც არ შედიან გლეხების მდგომარეობაში, გუშინ სოფ. თილვიდან სურამის ბოქაულს გლეხები ჰყავდა დაბარებული; გამოუცხადა: ზაალ ამირეჯიბის მემკვიდრენი თხოულობენ 1905 წლის კომისიით გადაწყვეტილ ღალებს და ამ სამ დღეში გაუსწორდითო. ვისაც ჰქონდა კვიტანციები წარუდგინა. ივანე ტრანკაძემაც წარუდგინა კვიტანცია ზ. ამირეჯიბის მემკვიდრეების მოურავის ლ. დიდებულიძის ხელ-მოწერილი, მხოლოდ თარიღი 1903 წ. 1905 წ. იყო გადასწორებული. ამაზედ ბოქაული გაწყრა და ტრანკაძეს ბევრი მათრახი მიხვდა ეს—„პალლოგი გაგიკეთებიაო".

— თქვენ დალოცვილო რაზედ მცემთ! —ეხვეწება გლეხი, — ლ. დიდებულიძე 1903 წ. მოურავად არ იყო (იმ დროს სწორედ არ იყო) და მაშინ როგორ მომცემდა კვიტანციას, ის აგრე რიგად წერაში დახელოვნებული არ იყო და, რა ჩემი ბრალია, ჯერ ერთი გადახდა გვიქნის და მერე ისიც ამისთანა დროში!

ბოქაულმა მაინც კვიტანციები არ მიიღო და გამოუცხადა, ამ სამ დღეში, რაც გადაწყვეტილი გაქვთ კომისიის განაჩენებით, იქ უნდა ჩამოიტანოთო. ძლიერ დაღონებულნი დაბრუნდნენ, არ იციან, ვის მიმართონ, სამართალს ეძებენ და ვერ მიუგნიათ.

ამავე დროს სოფ. კნოლევის გლეხები ტყეში იყვნენ შეშაზედ, დაბრუნებისას დახვდნენ კნოლევის თავადები და შეშის ბარათები მოსთხოვეს. პარკო კობერიძემ თავის ბატონის ბარათი წარუდგინა, შეშის ფულის მიღების კვიტანციაც. მაგრამ კვიტანცია და ბარათი დაუხიეს—შენ კანტორის ბარათი უნდა გქონდესო. შემდეგ ბევრი მოსცხეს და შეშაც მარხილიანად წაართვეს.

იტყვით, ყველა ეს წვრილმანიაო. სოფლელისთვის წვრილმანი კი არა, მსხვილმანია, ასეთი რამეები. ამისთანა მაგალითი კი ქართლში მრავალია. აღარ არის გაკითხვა.

—

გაზეთ „ისარში" თვალი მოვკარი ერთერთმა წინამძღოლმა, როდესაც დამშეულთა დახმარებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, განაცხადა: გორის მაზრას პური არ აკლიაო. ნეტავ, რითი ამაბუთებს, ან იქნება მაგ წინამძღოლს ბეღლები სავსე აქვს პურით და ჰსურს დამშეულებს დაურიგოს? მაგ დალოცვილს კუჭი მაძღარი აქვს და მშიერებიც მაძღრად ჰგონია!

დამშეულია ქართლი: კოდი სიმინდი ხუთ მანეთზე ავიდა და სასყიდელიც აღარაა; დამშეულია ოთხ-ფეხი საქონელიც, ჩალ ქერქი, ყლორტებით და წალმით იკვებება!

ქართლი კვნესის შიმშილისაგან და ამავე დროს ყოვლგვარ გადასახადების აკრება გაათრკეცეს...

**Legatus.**

## პატარა ფელეტონი

### თოვლის ფიფქები

გეიერისა.

როდესაც შიმშილმა და სიღარიბემ ხალხი უკიდურესობამდე მიიყვანა, გადასწყვიტეს წასულიყვნენ მასთან და ეთხოვნათ. გულუბრყვილოებს სწამდათ, რომ თხოვნას აუსრულებდნენ და ისე ჩუმადა და სერიოზულად მიემგზავრებოდნენ, გეგონებოდათ ეკლესიაში მიდიანო.

იმ დღეს ზამთრის მზე მეტად აცხუნებდა დედამიწას და თეთრი თოვლი იმის სხივებისაგან თვალის მომჭრელად ბზინავდა. ცაზედ კი ფართო ზოლად გადაჭიმულიყო ცისარტყელა, რომელსაც მიმავალნი შესცქეროდნენ და ამბობდნენ:

— აი, ნიშანი. ბოლოს ეღება ჩვენს ტანჯვასა და სიღარიბეს...

მაგრამ, იმან არც კი იკადრა მათთან გამოსვლა. არ გამოვიდა გაუკაცურის გულითა და წყნარის სიყვარულით, როგორც მოსულნი სთხოვდნენ, არამედ გამოაგება ჯარი და მრავალნი გააჟლეტინა. განსპეტაკებულ თეთრ თოვლზე ალისფერი სისხლი დაინთხა და მზეზე მკრთალად ბზინვა დაიწყო.

დახოცილთა გვამები აკრიფეს. იმათ კი, რომელთაც თავ-ზარ დაცემისაგან საზარლად შეჰღრიალეს, ბირები მოუკუმეს და ტუნდრებსა და ტაიგებში უკრეს თავი. ყოველივე მყუდროებამ მოიცვა. მხოლოდ ალის-ფერი ლაქები მკრთალად ბზინავდნენ თეთრ თოვლზე.

ღამე დადგა. მრისხანე ღმუილით გაინავარდა ქარიშხალმა და თოვლის ღრუბლების ფიფქები თითქმის ცამდე შეაფრიალა. თეთრს ქარიშხალში, მთვარის სინათლეზე, რომელიც გარღვეულ ღრუბლებიდან შემინებული გამოიცქირებოდა, ლალ ავით ელვარებდნენ სისხლოვანი ფიფქები.

ისინი მიჰფრინავდნენ, გადიოდნენ ათას ვერსებს და ჩუმად ერახუნებოდნენ უპრალო ქოხებისა და მშვენიერ სასახლეების ფანჯრებს. ხალხი ამას შემინებული შესცქეროდა.

— ეს ჩვენი ძმების სისხლია,—იძახდა ხალხი.

— დიაზ, ჩვენა ვართ სისხლი თქვენის ძმებისა,—შრიალებდნენ ფიფქები.

და იქ, სადაც ისინი ეცემოდნენ, უკვე სდგებოდა მებრძოლი რაზმები და მათი ძლევა-მოსილი ხმა ჰაერში გრიალებდა: «თავისუფლებისათვის, დაღუპულ ძმებისათვის, ყველას თანასწორობისათვის!».

ახლა ფართო რუებად მოსჩქეფდა სისხლი. ღამე კი, მკრთალ ღამის შუქზე, ქარიშხალი უკვე გაწითლებულიყო. მრისხანე მოჩვენებასავით დანავარდობდა იგი თვალ-უწვდენელ მინდორზედ, იჭრებოდა ქალაქებსა და სოფლებში და მის გამმვინვარებულ ღმუილში მხოლოდ ერთი გაისმოდა:

— მე სისხლი ვარ თქვენის ძმებისა!

ამბობენ, ჩქარა დადგება გაზაფხულიო, გაივლის ხანგრძლივი ღამე და თავისუფლების ბრწყინვალე მზე ამაყად ამოსცურდება უღრუბლო, მოწმენდილ ცაზედაო.

და მაშინ, იმ ალაგას სადაც ფიფქები გადნება, სწრაფად აღმოცენდება, გადიფურჩქნება ალის-ფერი ყვავილ-ვარდები, რომელთაც ბავშვები სიცილითა და სიხარულით კრეფას დაუწყებენ და შეუდგებიან მშვენიერ გვირგვინების წვნას თავ-განწირულ, სიმართლის მოყვარულ გმირების საფლავთა შესამკობად...

ამას ლაპარაკობენ ფიფქებზე.

**დ. [illegible]შვილი.**

### ილია ჭავჭავაძის ფონდი

#### მიმართვა

(წერ. რედ. მიმ.)

ილია ჭავჭავაძის სახელობის, ფონდის გასაძლიერებლად ტფილისში შემდგარა ქალთა წრის კომისიამ წერილობით მიჰმართა საქართველოს თითქმის ყველა დაბა-ქალაქებში ზოგიერთ პირთ, რომ მიეწვიათ თავიანთ დაბა თუ ქალაქში მუდმივ მომქმედი კომისია ზემოხსენებული ფონდის გასაძლიერებლად. კომისიამ აგრეთვე გაუგზავნა თითო წიგნაკი „მოწოდება მატიანისა" რუსეთის სხვა და სხვა ადგილებში მცხოვრებთ თითო-ოროლა ქართველს, რომ რაიმე დახმარება აღმოეჩინათ ამავე ფონდისათვის. მომეტებულ ნაწილისაგან პასუხი მიიღო ტფილისის ქალთა წრის კომისიამ, სადაც დიდის სიამოვნებით აღუთქვეს მოქმედება და ბევრგან კიდევაც დაარსდა წრეები და ამორჩეულ იქმნა მუდმივ-მოქმედი კომისიები. მაგრამ დარჩნენ ზოგი ადგილები, საიდანაც არავითარი პასუხი არ არის. რადგან ეს დიდათ აფერხებს საქმის გაფართოებას და საშუალებას ართმევს კომისიას—მიჰმართოს სხვა პირებს, თუ ზემოხსენებულთ რაიმე მიზეზი აბრკოლებთ დახმარონ ამ საქმეს,—ამიტომ ტფილისის ქალთა წრის კომისია თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით, სთხოვს შემდეგ პირთ კეთილ ინებონ და უპასუხონ წერილებზე:

ვლადიმერ ჩიქოვანს (მიხაილოვში), მარიამ მიხეილის ასულს დოდობერიძისას (ბაქოში), სოფიო დავითის ასულს კანდარაშვილს ([illegible]), ქეთევან ზაქარიას ასულს მაჩაშვილს (ვლადიკავკაზში) ნინო დურმიშხანის ასულს მაკარაშვილს (ახალდაბაში), შედავია მიხეილის ასულს სარაჯიშვილისას (განჯაში), კონსტანტინე იოსების ძე მაჭავარიძეს (ფოთში), ნინო სვიმონის ასულს ანდრონიკაშვილს (სიღნაღში), მაკრინე ღლონტს (ნოვოროსისკში), მარიამ ივანეს ასულს ბარათაშვილისას ([illegible]) ანასტასია ლევანის ასულს ყიფიანისას, და ნინო [illegible]ისას (ქუთაისში) და ნადეჟდა გიორგის ასულს თარხნიშვილისას (პეტერბურგში).

**ტფილ. ქალ. წრ. კომისია.**

## რუსეთი

**სამხედრო და განსაკუთრებული მდგომარეობა.** ჩამინისტრალის ფიოდოროვის გაზეთი „სლოვო" იტყობინება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ამას წინად მიუმართავს ყველა გუბერნატორებისათვის და შეჰკითხებია: სცნობთ თუ არა შესაძლებლად, რომ გაუქმებულ იქმნეს სამხედრო და განსაკუთრებული დაცვის წესები რუსეთში, რადგან მშვიდობიანობის გამეფების ნიშნებიაო. გუბერნატორთა უმრავლესობას უპასუხნია, რომ მშვიდობიანობა სამხედრო წესების მეოხებით არის და იმ წამსვე დაირღვევა, როგორც კი ეს წესები მოიხსნებაო; ამიტომ ჯერ ნაადრევია ამის განხორციელებაო.

**კოოპერატიული მოძრაობა.** რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, სოფლებში კოოპერატიული მოძრაობა გაიზარდაო. განსაკუთრებით ძლიერ მოიკიდა ფეხი კოოპერატიულ მოძრაობას არხანგელსკისა და ვოლოგდის გუბერნიებში. სხვა და სხვა მაზრებიდან წერილები მოდის, გლეხები დიდის სიამოვნებით აარსებენ კოოპერაციებს, ფულს სწირავენ და, საზოგადოთ, მოწადინებულნი არიან, რომ კოოპერაციები ბლომათ დაარსდესო. საქმეს ცოტა ის აფუჭებს, რომ ადმინისტრაცია წინ ეღობება ამ საქმეს და ათასნაირ დაბრკოლებას უჩენსო, სწერენ გაზეთები.

**პეტერბურგის პოლიტეხნიკუმში.** „პრავიტ. ვესტნიკ"-ი იტყობინება: „საიდუმლო პოლიციას ცნობა მოუვიდა, რომ პეტერბურგის პოლიტეხნიკუმის ქვედა სარდაფში ინახება ასაფეთქებელი მასალა, იარაღი, შრიფტი და არა-ლეგალური ლიტერატურაო. ამის გამო 28 იანვარს ხსენებული შენობა გაჩხრიკეს და აღმოაჩინეს ცხრა ყუმბარა, მათ შორის ზოგი უკვე გამზადებული სასროლათ, საბეჭდავი მაშინა და შრიფტი".

**სტუდენტების საზოგადო კრება.** პეტერბურგში ეხლა-ხან დასრულდა სრულიად რუსეთის სტუდენტთა წარმომადგენლების კრება. სულ კრებას დასწრებია 73 დელეგატი გადამწყვეტისა და 3 სათათბირო ხმით, აქედან პეტერბურგის უმაღლესს სასწავლებელთაგან—37 სტუდენტი, მოსკოვიდან—17, კიევიდან—7, ხარკოვიდან—4, ოდესიდან—5, ყაზა-

---

ბას ე. ღ. აჩრდილს აძლევს ხელში. ამ მოსაზრებით ბუდა წინააღმდეგი იყო მაგარ სასმელებისა.

„ვიტაკებში" ზნეობრივ მოვალეობათა სხვა გვარ კლასიფიკაციასაც ვპოულობთ. იქ ჩამოთვლილია ათი ძირითადი ცოდვა, რომელიც რყვნის სიცოცხლეს. ეს ცოდვანი ამნაირად განიწილდებიან. I ფიზიკური ხასიათის სამი ცოდვა—მკვლელობა, ქურდობა, მრუშობა. II ოთხი—სიტყვიერი შეცდომა—ტყუილი, ჰორი ლანძღვა (ფიცი), ყბედობა და III სამი —სულიერი ცოდვა—სიძუნწე, ბოროტგანზრახვა და სკეპტიციზმი.

ამნაირი თვისებისაა ბუდისტთა ეთიკა. ვნახოთ ახლა, რას წარმოადგენდა ბერების ძმობა, რა ხასიათის ზნეობრივ მოვალეობებს ემორჩილებოდნენ და მათი ცხოვრება რითი განსხვავდება დანარჩენ ხალხის ცხოვრებისაგან.

გლახაკ-ბერთა ძმობის არსებობა ლოღიკურად გამომდინარეობს ბუდიზმის ძირითად პრინციპებიდან. ამ გვარი მოვლენა ინდოელთათვის ახალი არ არის. ბრამანთა ეპოქაშიაც იყვნენ ბერები. ხოლო ეხლა მათ ორგანიზაციას მკაფიო გამოხატულება მიეცა.

ბუდიზმი იმასა ცდილობს, რომ ფასი დაუკარგოს ყველა იმას, რაც გვხიბლავს ამ ქვეყნად. ყოველივე უნდა იყოს დახშული, რაც კი ბედნიერებას გვაგონებს, რაც გულს გვიშფოთავს და აღვიძებს ჩვენში ეჭვს, მოუსვენარობას და პირად არსებობის წყურვილს. ყოველივე ეს მივიწყებული თავშინებებული უნდა იყოს, როგორც რაიმე წარმავალი და დაუდგრომელი. ოჯახი, ნათესაური სიყვარული, კერძო საკუთრება, სიმდიდრე, ძალა—ყოველივე ამას მართლ-მორწმუნე ბუდისტისათვის აზრი არა აქვს. ბუდისტი ხალხს შორდება, სტოვებს თავის სახლს, მიწას, სიმდიდრეს (თუ ჰქონდა) და უდაბნოში იხიზნება, სადაც ამ ქვეყნის საამენი მას აღარ ეკარებიან.

ამ ხასიათის ბერთა რიცხვი ძლიერ იზრდებოდა გოტამა-ბუდას მაგალითის ზედ გავლენით. ამ ბერების წინაშე ყოველთვის იდგა მასწავლებლის სახე, მდიდარი მეფის შვილის მაგალითი, რომელიც განცხრომასა და ფუფუნებაში სცხოვრობდა, რომლის ხელი იყო ამ ქვეყნის ყოველი სიამე, ხოლო რომელმაც ზურგი უბრუნა თავის „ბედნიერებას", დასტოვა სამეფო სახლი, მამა, ლამაზი და კეთილი ცოლი, პირმშო შვილი, უთრშყო უზრუნველი, ტკბილი და მაძღარი ცხოვრება და განდგა მარტოობაში, გაიხიზნა ჭალებსა და ტყეში, რომელიც იზიდავდა მას თავის მყუდროებით—აი ეს სურათი მუდამ-ჟამს თვალ წინ უდგა ინდოელებს, რომელნიც, მსგავსად სხვა ქვეყნის ადამიანებისა, სიცოცხლის საიდუმლოების გამოცნობას ცდილობდა და გოტამა-ბუდას მოძღვრებასა და სიცოცხლეში ჰპოვა ის, რაც მის გულში უკვე იყო დაბუდებული.

ცხოვრებას განშორებულნი მეუდაბნოენი გლახაკ-ბერთა ძმობათ აფუძნებდნენ. ძმობაში შესასვლელად ბერს სამი ანაფორა, მოწყალების შესაგროვებელი ჯამი, ერთი ჰურჭელი, ნემსი და ქამარი უნდა ჰქონოდა. გარეგნობით სხვებისაგან იმითი განირჩეოდნენ ბერები, რომ მათ ყვითელი ფერის ანაფორები ეცვათ და თავიც მოპარსული ჰქონდათ. ძმობაში თავისუფლად შედიოდნენ, გამოსვლაც თავისუფალი იყო. ერისკაცს, რომელსაც ძმობაში შესვლა სურდა, ერთი ბებერი ბერთაგანი უნდა დასდგომოდა თავდებათ. ბერთა კრების წინაშე ახლად მოსულს სამჯერ უნდა ვაემეორებინა თავისი თხოვნა: ბუდას მფარველობას ვეძებ, კანონის მფარველობა მინდა, თემის მფარველობას ვეძებ. შემდეგ ამისა აღთქმას აძლევდა, ათ მცნებას მტკიცედ ავასრულებო, გარდა ცნობილ იმ ხუთ მცნებასა, რომელსაც ერის კაცნიც ასრულებდნენ, ახლად მოსული სხვა ვალდებულების ასრულებასაც ჰპირდებოდა ძმობას: 1) აკრძალულ დროში (ნაშუადღევს) პური არ უნდა ეჭამა, 2) ხელს იღებდა თამაშობაზე, სიმღერაზე, მუსიკაზე და თეატრალურ წარმოდგენებზე, 3) ჰპირდებოდა, გვირგვინებს არ ვატარებ „სურნელებიან საცხებს" არ ვიხმარებ და მორთულობაზედაც ხელს ვიღებ, 4) მაღალ და განიერ ლოგინზე არ დავიძინებ, 5) ოქროს და ვერცხლს საჩუქრად არ ავიღებო.

მაგრამ ზოგიერთ პირობებში ერის კაცს აკრძალული ჰქონდა ძმობაში შესვლა. ასე, მაგალითად, როდესაც მას რაიმე გადამდები სენი სჭირდა—ქეციანი, ბნედა და სხვა, როდესაც ის მონა, მოვალე და ჯარის-კაცი იყო, როდესაც ის სრულუფლებიანი არ იყო და როდესაც ძმობაში შესვლას დედ-მამა ეწინააღმდეგებოდა.

ფრიად საყურადღებოა ყოველივე ეს. ბუდიზმი, რომელიც თითქოს თავისუფალი იყო ისტორიულ და მატერიალურ პირობებათა გავლენისაგან, ბოლოს მაინც გაება მახეში. ყოველ სულდგმულს და ცხოველს მფარველობას უწევდა, მონა და მოვალე კი გამორიცხა ძმობის წრიდან. ეს საუკეთესო ნიმუშია იმისა, რომ „მეტაფიზიკაც" კი უწევს ანგარიშს ძლიერთა ბატონობას.

პირვანდელ ბუდიზმის ძმობა ეკლესიას, თეოლოგიურ ერთეულს არ წარმოადგენდა. იგი არ იყო ღმერთსა და ადამიანს შორის დამდგარი შუამავალი მართალია, შემდეგში, ინდოეთის საზღვრების გარედ, ტიბეტში, თანდათან, საეკლესიო იერარქია არსდება და ეს იერარქია რომის-კათოლიკეთა იერარქიას ემსგავსება და მაშინ გლახაკ-ბერთა თემიც კარ-ჩაკეტილ ეპისკოპალურ ერთეულად ხდება, ხოლო ყველა ამას პირვანდელ ბუდიზმთან საერთო არა ჰქონდა-რა.

ბერების ზნეობრივი ძალა და ღირსება მათს პირად ღირსებებზედ, მის ქადაგების სიღრმესა და რა ძალაზედ იყო დამოკიდებული. არც ძმობა, არც ძმობის წარმომადგენელნი, ბერები, ღვთაებრივ მხილების გამომსახველნი არ იყვნენ. ბერები წმინდანობას და უცოდველობას არ ჩემულობდნენ. მათ უკან მაცდურობით და განსაცდელი აღსავსე ცხოვრება ჩქეფდა და ბუდისტურ ნეტარებამდე მიღწევა მათს სურვილსა და ძალაზე იყო დამყარებული. „დჰამაპადში" სწერია: „ბერი, რომელსაც მცირე მოწყალეობას აძლევენ და რომელსაც ჰგონია, რომ იგი ღირსეულად არის დაჯილდოვებული, ღმერთებს მიერ განდიდებული იქნება, რადგან მისი ცხოვრება წმინდაა... ბერი, რომლის სიცოცხლე სიყვარულით და სიხარულით—ბუდას მოძღვრებით—მშვიდობიან მომავალით დასტკბება, იგი მიაღწევს ნირვანს, სადაც ილუზიებს (შანკარას) ბოლო ეღებათ."[5]

რასაც ქრისტიანები ლოცვას ეძახიან, ბუდისტები „ფიქრს" უწოდებენ. ამგვარ ლოცვის—ფიქრის რიცხვი ხუთი იყო. პირველი ფიქრი სიყვარულის შესახებ ფიქრი იყო. მეორე—ფიქრი თანაგრძნობის შესახებ, რომლის ძალითაც ადამიანს ებადება სურვილი მოყვასის მდგომარეობის გაუმჯობესობისა. მესამე—ფიქრი სიხარულის შესახებ, რომელსაც ადამიანი გრძნობს, როდესაც ის სხვის ბედნიერებას დაჰყურებს. მეოთხე—ფიქრი ხორცის უწმინდურობის, საშინელ ავადმყოფობის და განადგურების შესახებ, იმის შესახებაც, რომ ადამიანი განუწყვეტლივ ხან იბადება ხან კვდება. მეხუთე—ფიქრი გულის მშვიდობიანობის შესახებ, როდესაც კარგსა და ავს, ძალასა და სისუსტეს, სიყვარულსა და მძულვარებას, სიმდიდრესა და სიღარიბეს, სიყმაწვილესა და სილამაზეს—ყოველივე ამას გულგრილად, გულის სიწმინდით დაჰყურებ.

ამ ხასიათისაა ინდოეთის სიბრძნე. თვალი რომ გავავლოთ მთელ სისტემას, დავრწმუნდებით, რომ მის ძარღვს და დედა აზრს შეადგენს სიცოცხლის განსაზღვრული ფილოსოფია, ფილოსოფია ტანჯვა-სა და მწუხარებისა, რომელზედაც აღმოცენდა მწყობრი და რთული რელიგიური—ეთიკური სისტემა. გადავხედოთ ახლა ამ ტანჯვის ფილოსოფიას დღევანდელის ჩვენის თვალსაზრისით და გავზომოთ იგი თანამედროვე მეცნიერების საზომით.

**არჩილ ჯორჯაძე.**

(დასასრული იქნება)

[5] Dhammapade. 366. 268.

ნიდან—1, დორპატიდან—3 და ნოვო-ალექსანდრიიდან—2. პარტიების მიხედვით წარმომადგენელნი ასე განიყოფებიან: 34 სოც.-დ., 23 სოც.-რ., 11 კადეტ., 1 ნაროდნ.-სოც., 2 პოლონ. პარტ. და 2 უპარტიო. გაცხარებულ კამათის შემდეგ მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომელიც აფრთხილებს სტუდენტობას, მოუფიქრებელ დემონსტრაციებს ნუ მოახდენთო. კონფერენციამ საჭიროდ სცნო: 1) წესიერი მოწყობა სტუდენტთა წარმომადგენლობისა; 2) ინტენსიური მუშაობა ცენტრალურ ორგანოებისა პროფესიონალურ და აკადემიურ ცხოვრებაში და 3) ფართო განვითარება სტუდენტთა საპროფესიო ორგანიზაციებისა.

✦ **მილიუკოვის წინააღმდეგ.** უკიდურეს მემარჯვენეთ კრება ჰქონდათ მილიუკოვის შესახებ. კრებას ოქტომბრისტებიც დასწრებიან. დეპუტატს კელეპოვსკის წაუკითხავს თარგმანი იმ სიტყვისა, რომელიც მილიუკოვმა ამერიკაში წარმოსთქვა და აღუნიშნავს, რომ კ.-დ. ლიდერმა შეურაცხჰყო რუსის ხალხის „საუკეთესო ნაწილი"-ო, ე. ი. „ჭეშმარიტ რუსთა კავშირი", რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსეთის გადარჩენის საქმეში რევოლიუციისაგანაო. ამის გამო კრებას დაუდგენია მოსთხოვოს მთავრობას მილიუკოვის სამართალში მიცემა და ამასთანავე წინადადება მიეცეს თვით მილიუკოვს, სამი დღის განმავლობაში „საჯაროთ მოინანიოს თავისი ცოდვა რუსეთის წინაშე"-ო.

✦ **შავ-რაზმელთა ბელადი.** პეტერბურგის საოლქო სასამართლოში მალე გაირჩევა შავრაზმელთა ერთ-ერთ საზოგადოების თავმჯდომარის დეზობრის საქმე. ამ „პოლიტიკურ მოღვაწეს" აბრალებენ „პადლოგებით" ფულების მიღებას პეტერბურგის სხვა და სხვა ბანკებიდან.

# პროვინციის ცხოვრება

—:—

**თელავი.** ჩვენი ქალაქი თან და თან უკან მიდის. ვერაფერი პროგრესია თუ ამ გზით იარა თელავმა. არა თუ პროვინციალურ ქალაქებს, დაბა-სოფლებსაც-კი დიდ მანძილზე ჩამორჩება. ჩვენ, სამების ძალზე, სამად-სამ დაბალ სასწავლებლითაც კმაყოფილად ვგრძნობთ თავს მაშინ, როცა არა თუ გორმა და დაბა ხონმა დაიარსა გიმნაზიები, ცხინვალი და სურამიც-კი აპირებენ სადათის ძილიდან გამოღვიძებას. თუ გორში სახალხო უნივერსიტეტის გახსნას აპირობენ და ლექციების კითხვის მოწყობა დაიწყეს, თელავში ერთად-ერთი საკვირაო სკოლა იყო და ისიც, საზოგადოების გულგრილობის წყალობით, დაიკეტა. ამით სრულიად კმაყოფილნი უნდა დავრჩენილიყავით, რომ სამკითხველოც ზედ არ მიჰყოლოდა. რა დროს სკოლა, სამკითხველო და ლექციებია ან ვისა აქვს ამისი თავი, როდესაც თელავი დიდი ხანია უთავოა! ხშირად უკიჟინებთ ხოლმე დაბალ ხალხს ლოთობას, მაგრამ აზრად არავის მოუვლის, რომ რაიმე სულიერი სახალხო გონიერი გასართობი მივაწოდოთ. წინად ათასში ერთხელ მაინც იმართებოდა ხოლმე ბაზრის ხალხისთვის გასართობი სადამოები; ეხლა ყველას დაავიწყდა ეს.

აქაური მეთხე ხარისხოვანი არტისტები დრო გამოშვებით, უფრო-კი დღესასწაულებში, ჰმართავენ ხოლმე წარმოდგენებს იმათთვის, ვისაც არც ესაჭიროება, არც ეინტერესება, მხოლოდ რაიმე საქველმოქმედო მიზანს დაუსახავენ და იმით იზიდავენ საზოგადოებას. ხშირად საცეკვაო სადამოები იმართება, ალბად ცეკვა უფრო ეგარჯიშებათ აქაურებს. სადამოები საქველმოქმედო აზრით იმართება, მხოლოდ ერთია საუცხოო: ერთისა და იგივე მიზნისათვის ერთ თვეში ორჯელ ჰმართავენ (თელავში ყველა მიჰხვდება, რაზედაც მოგახსენებთ) და 200 მანეთობით რჩება, მაშინ როცა მეორე სიმპატიური დაწესებულება უსახსრობით სულსა ჰლაფავს.

ამ ჟამად, როგორც არა ერთხელ გწერდით, მთელი თელავის ყურადღება კასებზეა მიქცეული. ისე ჩაითრია კასებმა ხალხი, რომ ყველას თავ-ბრუ დაჰხვია და გზა და კვალი აურია. პირველად ისე ეგონათ, ციდამ მანანა ჩამოგვივარდა: ფული მოგვეცემა, დავაქორწინებთ—ფულია, გავათხოვებთ—კიდევ ფულს მივიღებთ და სიკვდილშიაც-კი მზად არის ორმოცდა ათ-ათი თუმანიო. ყველამ, ვისაც რა ებადა, კასაში წაიღო. ზოგმა ვალი აიღო, ზოგმა საათი, ქმარი და ნივთები დააგირავა; დედაკაცებმა ხომ შუბლის ქინძისთავი და ბეჭდებიც არ დაიშურეს, გაყიდ-დააგირავეს და ფული კასებს უძღვნეს. ბოლოს კასის გამგენი გაამდიდრეს, თვითონ-კი ცარიელნი დარჩნენ. ეხლა თელავში იშვიათია ისეთი კაცი ან ქალი, არა ჩიოდეს, 20—100 მან. მეკარგება კასაშიო. ეს თუმცა ასეა, მაგრამ კასობა მიმდინარეობს, ერთი თუ იკეტება და წევრებს ფული ეკარგებათ, მეორე იდება, და ობობას ქსელი ისევ იბმება გზა-დაკარგულ უგუნურ ხალხისათვის.

სამარხ კასებს ერთი შედეგი მოჰყვა. რადგან იშვიათი მიცვალებული იქნება, რომ კასაში ჩაწერილი არ იყოს, დასასაფლავებლად რომ მიასვენებენ, აქეთ იქიდან მისჩურჩულებენ, ორმოცდა ათ თუმნიანიაო თუ არაო. თუ ცოტათ მაინც ჰქონდა, რამდენსამე გვირგვინს (5—8, ხან მეტსაც) წინ წაუძღვარებენ, ზოგს ლენტით, ზოგს ულენტოდ. ამ გვირგვინებს ეკლესიიდან ქირაობენ, თითოს 2—3 მან. რაშიაც ეკლესიის კრებულნიც ხელს უმართვენ. ნათესავ მახლობელნი, მგლოვიარობის ნიშნად, შავ-ბანტებს იბამენ მკლავზე. ასე იქცევა ყველა, ჩოხიანი, შილიანი, ცხვრის ტყავიანი და სხვ. რასაკვირველია, ესეც პროგრესად უნდა ჩაითვალოს, რაც, ალბად ჩვენდა საბედნიეროდ, სოფლებშიაც გადავიდა. თელავში ძალიან ხშირად შეხვდებით სოფლელ გლეხ კაცს, რომელსაც დაგლეჯილ გახუნებულ ჩოხის სახელოზე შავი შალის ნახევი ახვევია, ვითომ ბანტიაო...

**დავიწყებული.**

—

**დ. ხარაგაული.** 20 იანვარს აქ მოხდა ადგილობრივ საზოგადოების ყრილობა. ხალხმა არ იცოდა, რისთვის შეჰკრიბეს. შუადღისას ადგილობრივ კანცელარიასთან ხუთასამდე კაცმა მოიყარა თავი. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ბოქაულის თანაშემწე შმიკინი. შმიკინმა გამოაცხადა: რადგან უჩაღობა გავრცელდა, ხუთი სტრაჟნიკი კიდევ უნდა დაიქირავოთ ამ ხუთ სტრაჟნიკში სამი უკვე ბაზარსა ჰყავს დაქირავებული, ორიც მოუმატეთ და საერთოდ, როგორც თქვენ, ისე ბაზრელებმა, გადაიხადეთ სტრაჟნიკების ჯამაგირად 1560 მანეთიო. ეს ამბავი გლეხობას, რასაკვირველია, არ ესიამოვნა. ერთმა მოხუცმა გლეხმა სთქვა: ჩვენ ორი ბოქაული და 15-ამდე სტრაჟნიკი გვყავს და ამათ უნდა გვიცვლონ ყურიო. ამ გლეხს ბანი მისცა მთელმა საზოგადოებამ და დაიძახა, არ შეგვიძლიან სტრაჟნიკების დაქირავებაო. ეს საწყენად დარჩა შმიკინს და კიდეც უბრძანა სტრაჟნიკებს, ჩაეჩუმებინათ ხალხი. ხალხი მაინც უარზედ იდგა, მაგრამ ვერა გააწყო რა. ბოლოს ხალხმა სთქვა, რადგან ძალას გვატანთ, ვიქირავებთ სტრაჟნიკებს, მხოლოდ იმათი ჯამაგირის ნახევარი ვაჭრებმა გადაიხადოს, რადგან ისინი უფრო საჭიროვებენ სტრაჟნიკებსაო და ნახევარს ჩვენ გადავიხდითო. ეს ვაჭრებს არ ეჭაშნიკათ და დაიძახეს, ერთ სტრაჟნიკს ჩვენ ვიქირავებთ და ოთხი საზოგადოებამ იქირავოსო. ასტყდა აყალ მაყალი, მაგრამ ბოლოს მაინც გადასწყვიტეს, რომ ნახევარი ჯამაგირი ბაზარმა გადაიხადოს, ხოლო ნახევარი საზოგადოებამ. ამით დასრულდა 20 იანვრის ყრილობა. ხალხი, რასაკვირველია, გულ-ნატკენი დაიშალა. ხალხს უნდოდა გაგება, სტრაჟნიკების დაქირავება გუბერნატორის განკარგულება იყო, თუ ვისიმე სხვისი, მაგრამ რამდენ სიტყვას იტყოდა ვინმე, იმდენ თოფის კონდახებს აჩრიდნენ პირში. საკვირველი ის არის, რომ წინად იყო ამის შესახებ ყრილობა, რომელსაც ადგილობრივი ბოქაული გაგუა დაესწრო და ხალხმა განაჩენით დაადგინა, განთავისუფლებულ იქმნენ სტრაჟნიკების დაქირავებისაგან, მხოლოდ, თუ მთავრობა ისურვებს, დაურიგდეს ყველა სოფელს რამდენიმე თოფი და თითონ მოუვლიან თავიანთ თავსაო. ამ განაჩენისა ვეღარა გაიგეთ რა. ხალხში ეხლა ხმა დადის, ვითომ სტრაჟნიკების დაქირავება ვაჭრებმა მოახერხესო. თვითონ მოითხოვეს წინად სამი სტრაჟნიკი და ეხლა ამათი ჯამაგირის შეწერა ხალხზედ მოუსურვებიათ. სასურველი იქნება, თუ გაგუა ამ საქმის გამო ხელმეორედ ყრილობას მოახდენს და ხალხს გააგებინებს, ვისი განკარგულებით მოხდა სტრაჟნიკების დაქირავება და აქვს თუ არა ხალხს უფლება, რომ შეუძლებლობისა გამო უარი განაცხადოს სტრაჟნიკების დაქირავებაზედ. როგორც გავიგეთ ხალხს მოუსურვია ამ განაჩენის განსაჩივრება. ჩვენს კანცელარიას სხვათა შორის, ერთი დიდი სენი სჭირს. როდესაც რამე საქმე იქნება გადასაწყვეტი განაჩენით, ხალხს მოაწერინებენ ხელს დაუწერავ ქაღალდზედ და შემდეგ ადახმა უწერს შიგ რა იწერება! უმჯობესი იქნება უკვლევე განაჩენი დაიწეროს ხალხის თანადასწრებით ქართულ-რუსულად ხალხს წაუკითხონ მისი შინაარსი და შემდეგ ხელი მოაწერინონ.

**ხერიმელის პირელი.**

# სასამართლო

14 იანვრიდან ქუთაისში მუშაობდა სამხედრო სასამართლო და შემდეგი განაჩენები გამოიტანა: 14 იანვარს გაირჩა საქმე დავით კეკუასი, რომელსაც ბრალდებოდა პოლიციელის ჯაფარიძის მოკვლა და უბნის ზედამხედველის დორთქიფანიძის დაჭრა,—გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა. 16 იანვარს გაირჩა საქმე კოლია ბოჭორიშვილისა, რომელსაც აბრალებდნენ რაჭაში მერაბ წერეთლის მოკვლაში მონაწილეობის მიღებას,—გადაუწყვიტეს ჩამოხრჩობა. 18 იანვარს გაირჩა პორფირე პაიჭაძის საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა ქუთაისის სადგურზე დაჭერის დროს ჟანდარმების წინააღმდეგობის გაწევა,—გადაუწყვიტეს ჩამოხრჩობა. 21 იანვარს გაირჩა ლევან ლებანიძის საქმე, რომელსაც აბრალებდნენ რაჭაში მიხეილ ჯაფარიძის მოკვლაში მონაწილეობის მიღებისათვის,—გადაუწყვიტეს ჩამოხრჩობა. იმავე დღეს გაირჩა იოსებ თაკვერლის და შმაგი ქობალიავას საქმე, რომელთაც აბრალებდნენ სადგურ აბაშის მახლობლად დარაჯების წინააღმდეგობის გაწევას,—ორივეს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს. 23 იანვარს გაირჩა საქმე არსენ ქოქიბერიძის და სამი კლდიაშვილისა, რომელთაც ბრალდებოდათ გლახუა კემულარიას თავდასხმა და მცველის იარაღის წართმევა; პირველს მიუსაჯეს ჩამოხრჩობა, მეორეს თუთხმეტი წლის კატორღა. ეს საქმე სამხედრო საოლქო სასამართლომ ხალხის დაუსწრებლად გაარჩია.

—

რკინის გზის მოსამსახურეთა პროცესი თითქმის ორი კვირა გაგრძელდა. გარდა 36 ბრალდებულისა, მოწმედ იყო მოწვეული 126 კაცი და გასაკვირველი არ არის, რომ საქმის გარჩევა ამდენ ხანს გაგრძელდა.

პროკურორის ამხანაგმა შემდეგ პირებზე უარი განაცხადა ბრალდებაზე: პეტრე კარაბანოვი, ილია კიბალნიკოვი, ბესარიონ დოტარია, მიხეილ სადუყაია, ილარიონ მუჯირი, ტარასი ორჯონიკიძე და ლიონისი ოსტრამენსკი.

პალატამ სრულებით გაამართლა: ვიქტორ მაღლაკელიძე, ერმილე გოგუა, თომა ფარცხალაიშვილი, ვასილ გოლოვკინა, ალექსანდრე სელივნიკოვი, ნესტორ ფარულავა, პავლე ცომაია, ვასილ კახიბაია, კირილე ჯაიანი, მიხეილ უსაჩენკო, ნესტორ იმკაიშვილი, სამსონ ლოლიძე, გიგო ვეჩკაძე, იოსებ როგოვი, სვლიკან ერქომაიშვილი და ვასილ გაგაუა; პალატის გადაწყვეტილებით ერთი წლით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯათ: აკიმ არველაძეს, გიორგი ქაარიმოვს, იოსებ თევზაძეს და გიორგი ლლონტს; უკანასკნელს სასჯელში ჩაეთვალა 4 თვე, რომელიც საპატიმროში გაატარა. $1\frac{1}{2}$ წლით დასაჯეს: ვასილ კანკოტინი, ვიქტორ ბოიკოვი (ორივეს სასჯელში ჩაეთვალათ 2 თვე, რომელიც საპატიმროში გაატარეს), ივლიანე ლორია, რომელსაც ერთი წელიწადი ჩაეთვალა; ციმბირში გადასახლება გადაუწყვიტეს: ალექსანდრე გოლოხინს, ვასილ თურმანიძეს და არსენი ქარსიძეს.

## ღია წერილი ქართველ საზოგადოებას

—:—

ყველასათვის აშკარაა, რა მდგომარეობაში იმყოფება ამ ჟამად საქართველო, ის საქართველო, რომელმაც თხუთმეტის საუკუნის განმავლობაში სძლია ყოველგვარ ისტორიულ დაბრკოლებას, იარსება დამოუკიდებელ კულტურულ ცხოვრებით და კაცობრიობის საერთო სალაროშიაც შესამჩნევი წვლილი შეიტანა. ახლა კი ჩვენი სამშობლო განსაცდელშია, მას მოელის უბედურება, რომელიც სიდატაკეში გამოიხატება და რომელსაც შეუძლიან შემდეგში მისი სახელი სამუდამოდ წაშალოს კაცობრიობის საერთო ასპარეზიდან. ჩვენი საზოგადოება, რომელსაც არ ჰყავს საკმაო რიცხვი ღირსეულად მომზადებულ საზოგადო მოღვაწეებისა და რომელსაც არ ძალუძს დაბადოს და აღზარდოს ისეთი ძლიერი პიროვნებანი რომელთაც უნდათ ააფართოვონ და მიანიჭონ მას ცხოველ მყოფელი ძალა, სულიერად გადატკდა და დაეცა. თუ გადავხედავთ ჩვენ პერიოდიულ გამოცემებს, თუ გულ დასმით თვალს გადავავლებთ საერთოდ ქართველ ხალხის და კერძოდ ჩვენ მოზარდ თაობის ყოფას, პირველადვე იმ სამწუხარო მოვლენას დავინახავთ, რომ ჩვენ არა გვყავს ინტელიგენცია, არა გვყავან საზოგადო მოღვაწენი, რომელთაც შეეძლოთ ჩვენი ეროვნულ და კულტურულ ინტერესების დაცვა. მომავალშიაც საეჭვოა მათი გაჩენა. შავი, საბედისწერო დრუბლები ისე ძალზე ჩამოდგომულან სამშობლოს ცაზე, თითქოს ლამობენ იმ ცხოველ მყოფელ მზის სხივების ჩახშობას, რომელნიც ქართველ ხალხს ისტორიის მკალხარით მოსილ გზას უნათებდნენ. ჩვენი სტუდენტობა მისცემია რაღაც გაძლიერებულ სიდათის ძალს, ჩაფლულა უაზრო-ფუქსავატ ცხოვრებაში და დაუვიწყნია ყოველივე მოვალეობა ადამიანისა იმ საზოგადოების და მხარესადმი, რომელმაც იგი თავის მაცხოველებელ ძუძუთი აღზარდა.

მაგრამ ნათქვამია; „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო"; და აი სიტყვებზე მეტად სინამდვილე მჭერმეტყველობს: ყოველ წლობით უმაღლეს სასწავლებელს ჰათ-მდე კაცი ათავებს, მაგრამ ეს ახალი ძალის შემატება ოდნავათაც არ მეტყობა საქართველოს, რომელიც ისევ და ისევ გულ საკლავ მდგომარეობაში რჩება. ისმის გმინვა, ისმის გოდება ბეჩავ და ტანჯულ ხალხისა, რომელიც შველას გვთხოვს თავის უმადურ შვილებს.

ჩვენ, სტუდენტთა და ინტელიგენტთა ერთ წრეს, არ შეგვიძლიან გულ-გრილად ვუცქიროთ ამ მძიმნარავ სურათსა; არ შეგვიძლიან არ გავსცეთ პასუხი იმის ხვაწნა-ვედრებას და ჩვენი მცირე მესაწირავიც არ შევწიროთ იმ სამშობლოს საკურთხეველზე, რომელმაც სიცოცხლე მოგვანიჭა. ჩვენ მზადა ვართ გავწიოთ დაუღალავი შრომა ჩვენის განვითარებისათვის, მაგრამ ეს შრომა რამდენისამე პირისა ვერრას შემატებს საქმეს და მალამოდ ვერ დაედება იმ წყლულებს, რომელიც უკანასკნელ დროს ჩვენმა ქვეყანამ მიიღო; ამისთვის საჭიროა სტუდენტების რაც შეიძლება მეტ ნაწილის ამოძრავება თვით-განვითარებისათვის. ჩვენთვის საჭიროა საკუთარი ორგანო, რომელმაც უნდა შემოიკრიბოს და მოამზადოს საზოგადოებრივ ასპარეზისთვის მომავალი ღირსეული მოღვაწენი. იმ ქვეყნისათვის, სადაც გასაოცარის დაჟინებით მისდევენ გარუსების პოლიტიკას, სადაც დედა-ენა სასწავლებლიდან განდევნილია და საკუთარ შვილების მიერაც მივიწყებული, ჩვენ ვფიქრობთ, ეს ორგანო ქართულ ენაზე დიდ სამსახურს გაგვიწევს, რადგან იგი იქნება საუკეთესო სკოლა ენის შესასწავლად და ყველა კულტურულ ნაციონალურ საჭიროების გამოსარკვევად. ასეთ ორგანოს საჭიროებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს შეგნებულ მოღვაწეთა მომზადებას, მიგვითითებს არა თუ ჩვენი ასეთი შემაძრწუნებელი, გულსაკლავი მდგომარეობა, არამედ თვით ისტორია, თუნდ რუსეთის კულტურისა: მოვიგონოთ დიდების შარავანდედით მოსილი წრეები «ბელინსკისა», „Отеч. записокъ"-ისა და სხ., სადაც ისეთი ადამიანები გამოიზარდნენ, რომელთაც აურიცხველი ღვაწლი დასდეს თავიანთ სამშობლოს და რომელთაც ადიდებს დღეს არა მარტო მათი სამშობლო რუსეთი, არამედ მთელი მოაზროვნე კაცობრიობა.

გვწამს, რომ ჩვენს საზოგადოებაში გამოჩნდებიან ისეთები, რომელთაც «ერის წყლული უჩანსთ წყლულად, დაედაგვისთ ტანჯვით გული"; გვჯერა, რომ ჩვენი მშობლები და ჩვენი უფროსი ძმები, რომელნიც უკვე გამბულან სამშობლოს საკეთილდღეო მძიმე უღელში, არ დაიშურებენ ზნეობრივ ან მატერიალურ დახმარებასაც.

რედაქცია ყოველ-თვიური ჟურნალის **«ამომავალი მზე»**
ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, სახ. 44.

რედაქტორი **ვალ. გუნია.**
გამომცემელი **ე. ბვალიშვილი.**

# განცხადებანი

## საოჯახო სასტუმრო
## „Семейные номера"

შუა ქალაქში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, ელისაბედის ქუჩაზე, სახლი მილოვისა, № 1. იძლევა ქირით ოთახები თვიურად და დღიურად. თვიურად 15 მანეთიდან 50 მანეთამდე და დღიურად 60 კაპ. 2 მანეთამდე ოთახები მშრალი, თბილი და ნათელია. შეიძლება ოთახების გაქირავება ჭამა-სმითაც. სრული მშვიდობა და მყუდროება.

**ყველას ვთხოვ ჩემი მანეთიანი ოთახი შეადაროს სხვის ორ მანეთიან ოთახს.** (20—509—20)

პირველი კერძო სამკურნალო
## დოქ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დილით:**
**ა. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს ქირურგ., ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.
**ე. მ. ჩიქოვანი:** $9\frac{1}{2}$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საზვიო, ქალებისა და ბავშვების.
**მ. გ. ავალიშვილი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. მუგანლოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**გ. ი. გელაშვილი:** 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგანი და საბავშვო.
**ა. ი. შერმანი:** $1\frac{1}{2}$—2 საათამ. საზვიო და ქალებისა.
**გ. ი. გურგენოვი:** 11—12 საათ. ქალებისა და საზვიო.

**საღამოთი:**
**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ა. ა. ნავასარდიანი.**
(544—წლ.—25)

მეჩექმეთა ამხანაგობა
## ნდობამ

დროებით შესწყვიტა ყოველთვიური ვაჭრობა, რადგან ავაზაკმა ცეცხლმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ მან საუკეთესოდ მოაწყო სახელოსნო განყოფილება, სადაც მიიღება შეკვეთები, ხრომისა და ჩვეულებრივ მასალის ჩექმები, პოლსაპოჩკები როგორც ქალისა და კაცისა, ისე ბავშვებისა. სიიაფისა გამო იყიდება თითქმის მასალის ფასად. ვთხოვთ შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს, რომ თავისი განზრახვა დაიკმაყოფილოს. ამხანაგობა იმყოფება კიროჩნი ქუჩაზედ, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ. აგრეთვე ვთხოვთ, ვისაც-კი რა წაუღია ნისიად, დროზედ დაუბრუნოს მტრისაგან ნაწამებ ამხანაგობას და იძულებულს ნუ ჰყოფს გაზეთებში გამოაცხადოს მათი სახელი და გვარი.
(20—6.—8) გამგე **ს. შერმაზაშვილი.**

## „ილიას დღე ჭიათურაში"

ამ წიგნში მოთავსებულია: ილია ჭავჭავაძის სურათი, ბიოგრაფია, „ვინ არის ილია გლეხთათვის?" რჩეული ლექსები და პოემა და „გლახის ნაამბობიდან" დრამა 3 მოქმედებად.

## „ბატონი და ყმა"

გამოცემა ჭიათურის ქართ. დრამატ. საზოგადოებისა. ღირს აბაზად.

იყიდება: „წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში" და ჭიათურაში ს. ტარუაშვილთან. იქავე იყიდება: „მამა შვილი ანუ გაუბედურებულნი", დრამა 3 მოქმ., თანამედროვე ცხოვრებიდანა და „დროების კალენდარი".

აქვე მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „ისარ"-ზე. (10—8)

ავსარქისოვის საზამთრო
## ქარხანა

ჰყიდის ხეხილის ნერგებს საზღვარ-გარეთის, რუსეთის და კავკასიის ჯიშებისას.
ადრესი: Станція Скра З. Ж. Д. Авсаркисову. კატალოგი მსურველთ უფასოდ ეგზავნება.
(15—62—7)

მიიღება ხელის მოწერა ყოველთვიურ ახალ სამეცნიერო პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ

## „განათლება"-ზე

წლიურ ხელის მომწერთათვის ჟურნალი ღირება 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., სამი თვით 1 მ. 60 კ.; საზღვარგარეთ 7 მან. ცალკე № 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში, „ნაკადულის" რედაქციაში და „იდეალის სტამბაში (კიკნაძესთან), ნიკოლოზის ქუჩა № 6. ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთში" ის. კვიცარიძესთან.

ადრესი: ტფილისის ქართული გიმნაზია ან „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება".

რედაქტორ გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**
(5—4)